7
1905

მწყემსი

9/XII
№ 7

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 15—16 1883—1905 30 აგვისტო

უმაღლესი მანიფესტი.

შეწევნითა ღვთისათა,

ჩვენ ნიკოლოზ მე-II

იმპერატორი და თვითმპყრობელი

სრულიად რუსეთისა,

და სხვათა, და სხვათა, და სხვათა,

გუცხადებთ ვფიდა ჩვენ ქვეშევრდომებს:

სახელმწიფო რუსეთისა იზრდებოდა და მაგრდებოდა გ[illegible]ოფელ ერთობით მეფისა ხალხთან და ხალხისა მეფესთან. თანხმობა და ერთობა მეფისა და ხალხისა დიდი ზნეობრივი ძალა იყო, რომელიც საუკუნოების განმავლობაში ჰქონდა რუსეთს და იცავდა ყოველგვარ უბედურებისაგან და ხიფათისაგან. ეს ძალა დღემდე თავმდებია ერთობისა და დამოუკიდებლობისა, ქონებრივ კეთილდღეობისა, სულიერად განვითარებისა როგორც ეხლა, ისე მომავალში. 1903 წელს, 26 თებერვალს გამოცემულ მანიფესტში ჩვენ ვიწვევდით სახელმწიფოს ერთგულ შვილებს, რომ სახელმწიფო წესრიგის გასაუმჯობესებლად მჭიდროდ შეკავშირებულიყვნენ. მაშინვე განვიზრახეთ დაგვემყარებინა თანხმობა არჩეულ საზოგადოებრივ ტ მთავრობის დაწესებულებათა შორის და მოგვესპო ეს შეურიგებლობა, რომელიც ცუდად მოქმედებს სახელმწიფოს ცხოვრების მიმდინარეობაზე. ამაზე ყოველთვის ზრუნავდნენ თვითმპყრობელი მეფეები, ჩვენი წინაპრები. დღეს დადგა დრო, მოვიწვიოთ არჩეული კაცები, რომელნიც მუდმივ ნონაწილეობას მიიღებენ კანონის შედგენაში. ამის გამო უმაღლესს სახელმწიფო დაწესებულებებს გარდა უნდა დაარსდეს ახალი საკანონმდებლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულება, რომელსაც ევალება შემუშავება და განხილვა საკანონმდებლო განზრახულებისა და განხილვა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა. ხელ-უხლებლად დარჩება რა რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონი თვითმპყრობელობის შესახებ, საკეთილოდ ვსცანით დაწესდეს სახელმწიფო სათათბირო. ამისათვის უკვე დავამტკიცეთ დებულება არჩევნების შესახებ სათათბიროში. ამ ახალ კანონს ძალა აქვს მთელის იმპერიისათვის იმ მცირეოდენის ცვლილებით, რომელიც საჭიროდ იქნება ცნობილი განაპირა ადგილებისთვის. წეს-რიგი ფინლიანდიის წარმომადგენელთა მონაწილეობისა სათათბიროში და საკითხების გარჩევის დრო, რომელიც საერთო იქნება მთელ იმპერიის და ფინლიანდიისათვის ან კერძოდ ამ უკანასკნელს შეეხება, ჩვენ მიერ ცალკე იქნება აღნიშნული. ამასთან ერთად შინაგან საქმეთა მინისტრს ვუბრძანეთ დაუყოვნებლივ წარმოგვიდგინოს დასამტკიცებლად წესები იმ დებულების სისრულეში მოსაყვანად, რომელიც შეეხება არჩევნებს სახელმწიფო სათათბიროში. ეს საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ 50 გუბერნიის და დონის ოლქის წევრნი სახელმწოფო სათათბიროში გამოცხადდნენ არა უგვიანეს 1906 წლის იანვრის ნახევრისა. ჩვენთვის ვიტოვებთ უფლებას, სახელმწიფო სათათბიროს დაწესებულებათა გაუმჯობესების შესახებ, და როდესაც ცხოვრება დაგვანახვებს იმ ცვლილებათა საჭიროებას, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივით დაკმაყოფილებულ თანამედროვე მოთხოვნილებას და სახელმწიფოს კეთილ-დღეობას, არ დავაყოვნებთ და ამ საგნის შესახებ საჭირო ბრძანებას გავცემთ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ხალხის მიერ არჩეულნი, რომელთაც დღეს ვიწვევთ მთავრობასთან ერთად საკანონმდებლო საქმისთვის, დაუმტკიცებენ მთელ რუსეთს, რომ ისინი ღირსნი არიან ხელმწიფის ნდობისა და სახელმწიფოს სხვა დაწესებულებებსა ტ მოხელეებთან ერთად და თანაბრად გაგვიწევენ დახმარებას მთელის რუსეთის საკეთილდღეოდ ერთობის, უშიშროების, წეს რიგის და კეთილდღეობის დასამყარებლად. ვეევედრებით რა უფალს აკურთხოს შრომანი განზრახულ სახელმწიფო დაწესებულებისა, ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ყოვლად შემძლებელ ღვთის დახმარებით და სახელმწიფოს შვილთ საერთო მეცადინეობით, რუსეთი ძლევა-მოსილი გამოვა დღევანდელ განსაცდელისაგან და ხელ-ახლა ამაღლდება და გაძლიერდება.

ბოძებულია პეტერგოფში აგვისტოს მე-6 დღესა, ქრისტეს დაბადებიდან 1905-სა, ხოლო ჩვენისა მეფობისა მეთერთმეტესა წელსა. ნამდვილს მისის იმპერატორებით უდიდებულესობის ხელით აწერია:

„ნიკოლოზ“.

სახელმწიფო სათათბირო.

1. სახელმწიფო სათათბირომ უნდა წინდაწინ შეიმუშაოს და სჯა-ბაასი იქონიოს საკანონმდებლო მოსაზრებათა შესახებ, რომელნიც თანახმად კანონებისა, სახელმწიფო საბჭოს შემწეობით უზენაეს თვითმპყრობელ ხელმწიფის ხელში გადადის; 2. სახელმწიფო სათათბიროს შეადგენენ რუსეთის მცხოვრებლების მიერ ხუთის წლის ვადით ამორჩეული წევრები: უკანასკნელთ ირჩევენ სათათბიროს საარჩევნო დებულების ძალით, 3. მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებით სათათბიროს დათხოვნა შეიძლება ხუთის წლის გასვლამდე. იმავე ბრძანებით ინიშნება ახალი არჩევნები; 4. თუ რამდენს ხანს უნდა გასტანოს სათათბიროს სხდომებმა ან რა და რა დროს უნდა შეწყდეს წლის განმავლობაში, ამას თვითონ ხელმწიფე ბრძანებს; 5. სათათბირო იყოფა საზოგადო კრებად და განყოფილებად; 6. განყოფილება სათათბიროში უნდა იყოს არა უმცირეს ოთხისა და არა უმეტეს რვისა, თვითეულ განყოფილებას ეყოლება არა ნაკლებ 20 წევრისა. სათათბიროზეა დამოკიდებული სათათბიროს განყოფილებათა რიცხვისა და მათის წევრების შედგენილების დადგენა ტ აგრეთვე განყოფილებათა შორის საქმეების განაწილება; 7. სათათბიროს სხდომები რომ კანონიერი იყოს, საჭიროა დაესწროს საზოგადო კრებას არა ნაკლებ ნახევრისა; ყველა წევრების მესამედისა, განყოფილებებში-კი არა ნაკლებ მათის წევრებისა; 8. სათათბიროს ხარჯს ხაზინა კისრულობს.

სახელმწიფო სათათბიროსა და მისის განყოფილებების თავმჯდომარეები.

9. სათათბიროს თავმჯდომარესა და მისს ამხანაგს ირჩევს სათათბირო წევრებისაგან ერთის წლის ვადით; ამ ვადის გასვლის შემდეგაც შეიძლება ყოფილ თავმჯდომარეების ხელმეორედ არჩევა; 10. სათათბიროს თავმჯდომარე უქვეშევრდომილესად

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარადგენს უმაღლეს სახელზე მოხსენებას სათათბიროს მუშაობის შესახებ; 11. განყოფილების თავმჯდომარედ ირჩევენ თვითეულ განყოფილებაში მისს წევრს ერთის წლის ვადით; 12. სათათბიროს მოქმედების შესახებ წამოყენებულ კითხვებზე მოლაპარაკებისთვის გაიმართება თათბირი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ თავმჯდომარის ამხანაგი, განყოფილების თავმჯდომარენი, სათათბიროს სეკრეტარი და მისი ამხანაგი. თავმჯდომარედ თვითონ სათათბიროს თავმჯდომარე იქნება.

სახელმწიფო სათათბიროს წევრების შესახებ.

13. სათათბიროში შესვლის წინ შემდეგს აღთქმას აძლევენ: „ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, აღთქმას ვსდებთ ყოვლის შემძლებელ ღვთის წინაშე, რამდენადაც გონება მიგვიწვდება და ძალ-ღონე შეგვწევს, შევასრულოთ ჩვენს მიერ ნაკისრები თანამდებობანი სახელმწიფო სათათბიროს წევრობისა, შევინახოთ ერთგულება მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისა და სრულიად რუსეთის თვით-მპყრობელისადმი და გვახსოვდეს მხოლოდ რუსეთის სიკეთე ‌ᲡᲐ სარგებლობა, რასაც საკუთარის ხელის მოწერით ვამოწმებთ“; 14. იმ საქმეების შესახებ, რომელნიც სათათბიროს ხელშია, მისს წევრებს სრული თავისუფლება ეძლევათ მსჯელობისა ‌ᲡᲐ საკუთარის აზრების გამოთქმაში და არ აწევთ ვალად ანგარიში მისცენ თავიანთ ამომრჩევლებს; 15. სათათბიროს წევრების თავისუფლების გასაზღვრა ან სრულიად წართმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განკარგულებით; არ შეიძლება მათი დაჭერა აგრეთვე ვალებისთვის; 16. სათათბიროს წევრს ნება აქვს ხელი აიღოს წევრობაზე; 17. წევრობაზე ხელი უნდა აიღოს ისეთმა პირმა, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომი აღარ იქნება, ან ნამდვილ სამხედრო სამსახურში შევა, ან დაინიშნება სახელმწიფო სამსახურში ჯამაგირიან ადგილზე და თუ საარჩევნო ცენზი დაჰკარგა; 18. სათათბიროს წევრი გამოდის სამსახურიდან თუ დებულების მე-7 პუნქტში ნაჩვენები გარემოება დაიბადება; 19. სათათბიროს წევრებს დროებით ერთმევა კრებებზე მონაწილეობის უფლება იმ შემთხვევაში, თუ ისინი პასუხის გებაში იქნენ მიცემულნი იმ დანაშაულობის გამო, რომელიც დებულების მეშვიდე პუნქტის A პუნქტშია აღნიშნული და რომელსაც შედეგად თანამდებობიდან გადაყენება და გაკოტრებულად აღიარება მოჰყვება ხოლმე; 20. თუ წევრებმა რაიმე დანაშაული ჩაიდინეს თავიანთ თანამდებობათა ასრულების დროს ან ამ ასრულებისა გამო, ისინი სამართალში იქნებიან მიცემული იმავე კანონის ძალით, როგორც ასამართლებენ ხოლმე სახელმწიფო საბჭოს წევრებს სამსახურის მოვალეობათა დარღვევისათვის; 21. უმართებელეს სენატზეა დამოკიდებული სათათბიროს წევრისთვის მისის წოდების ჩამორთმევა და აგრეთვე მათი დროებით გადაყენება კრებებში მონაწილეობიდან; 22. მე-21 მუხლში აღნიშნული საქმეები დაიწყება სენატში სათათბიროს თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ და გადაწყდება სენატის პირველ დეპარტამენტში; 23. სხდომის დროს წევრებს ხაზინიდან თუმანი ეძლევა დღე და ღამეში სახარჯოდ. ხაზინა აძლევს მათ წელიწადში ერთხელ საგზაო ხარჯად ვერსტზე თითო შაურს მათის საცხოვრებელ ადგილიდან პეტერბურგამდე და უკან; 24. სათათბიროს წევრებად არ არიან მინისტრები და მთავარ-მმართებელნი, მაგრამ მათ ნება აქვთ მონაწილეობა მიიღონ კრებებზე და განმარტონ ესა თუ ის საქმე პირადად ან ამხანაგების შემწეობით; 25. ზემოხსენებული პირნი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ თავიანთი განმარტებანი, თუ სათათბირო საჭიროდ სცნობს.

26—32 მუხლები შეეხება სახელმწიფო სათათბიროსა და მისს განყოფილებებს სათათბიროს კანცელარიითა და მასში მოსამსახურე პირებითურთ.

რა საქმეები იქნება სათათბიროს ხელში?

33. სათათბიროს ექვემდებარება შემდეგი საქმეები: ისეთი საგნები, რომელნიც კანონებისა და შტატების გამოცემასა და მათ შეცვლა-შევსებას, მოქმედების შეჩერებას და გაუქმებას ითხოვს, შემოსავალ-გასავალი და აგრეთვე კასიდან ფულების გადადება ამა თუ იმ მიზნით, განსაკუთრებულის წესების ძალით; სახელმწიფო კანტროლის ანგარიში სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის შესახებ; სახელმწიფო ქონებათა სხვაზე გადაცემა, რის შესახებ საჭიროა უმაღლესი ნებართვა; რკინის გზების გაყვანის შესახებ- საქმეები ხაზინის პირდაპირის განკარგულებითა და მისს ხარჯზე; აქციებით ამხანაგობის დაარსების საქმეები იმ შემთხვევაში, თუ მოთავე პირნი თხოულობენ კანონებში აღნიშნულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებებზე ზედ მეტს და, ბოლოს, ის საქმეები, რომელნიც სათათბიროს ეგზავნება უმაღლესის ბრძანებით.

შენიშვნა: სახელმწიფო სათათბიროს ექვემდებარება აგრეთვე იმ ადგილების ხარჯთ-აღრიცვა და საერობო ბეგარის განწესრიგება, საცა ჯერ არაა კიდევ შემოღებული ერობა და აგრეთვე საქმეები საერობო ან საქალაქო გადასახადების გადიდების შესახებ შედარებით იმასთან, რასაც საერობო კრებები და ქალაქის საბჭოები გადასწყვეტს.

34. სახელმწიფო სათათბიროს ნება აქვს შუამდგომლობისა არსებულ კანონების გაუქმებისა და მათს ადგილას ახლების გამოცემის შესახებ, მხოლოდ ეს მოსაზრებანი არ უნდა ეხებოდნენ სახელმწიფო წეს-წყობილების დედა-აზრს, რომელიც ძირითადი კანონებითაა დადგენილი; 35. სათათბიროს ნება აქვს, გადასცეს მინისტრებსა და მთავარ-მართებელთ ის ცნობები, რომელნიც მას მოუვიდა არსებულ კანონების დარღვევის შესახებ.

რა წესით უნდა სწარმოებდეს საქმე სახელმწიფო სათათბიროში?

36. სათათბიროში განსახილველი საქმეები შეაქვთ მინისტრებსა და მთავარ-მმართებელთ და აგრეთვე სახელმწიფო სეკრეტარს; 37. საქმეებს ჯერ განყოფილებებში განიხილავენ და შემდეგ საზოგადო კრებას წარუდგენენ; 38. სათათბიროსი და მისი განყოფილებების სხდომები ინიშნება, იხსნება ‌ᲡᲔ იხურება თავმჯდომარეების განკარგულებით; 39. თავმჯდომარე აღარ აძლევს ლაპარაკის ნებას იმ წევრს, რომელმაც წესიერება დაარღვია და კანონი უპატიოდ მოიხსენია. თავმჯდომარისავე საქმეა, შეაჩეროს ან დახუროს სხდომა; 40. თუ წევრმა დაარღვია წესიერება, იგი, შეიძლება, დათხოვნილ იქნას სხდომიდან ან დროებით გაიყვანონ; 41. სხდომებზე არ შეუძლიანთ დაესწრონ კერძო პირნი; 42. თავმჯდომარეს უფლება ეძლევა, ნება დაროთს პრესის წარმომადგენლებს სხდომაზე დასწრებისა, მაგრამ არა უმეტეს ერთის-კაცისა თვითვეულ გამოცემიდან; 43. საზოგადო კრების დახურული სხდომა ინიშნება საზოგადო კრების დადგენილებით ანა და თავმჯდომარის განკარგულებით. მისივე განკარგულებით ინიშნება დახურული სხდომა საზოგადო კრებისა, თუ მინისტრი ან მთავარ-მართებელი, რომლის უწყებას შეეხება სათათბიროს განსახილველი საქმე, განაცხადებს, რომ იგი სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენს; 44. სათათბიროს საზოგადო კრების ანგარიშები, თუ კი თავმჯდომარე მოიწონებს, გამოქვეყნებულ იქნება, გარდა დახურულ სხდომების ანგარიშებისა; 45. დახურულ სხდომის ანგარიშების იმ ნაწილების გამოქვეყნება შეიძლება, რომელთაც შესაძლებლად დაინახავს ან თავმჯდომარე, თუ დახურული სხდომა მისი ან სათათბიროს განკარგულებით მოხდა, ან და მინისტრი და მთავარ-მართებელი, თუ ამათი ინიციატივით შესდგა დახურული კრება; 46. მინისტრსა ‌ᲡᲔ მთავარ-მართებელს შეუძლიანთ უკანვე წაიღონ სათათბიროში შეტანილი საქმე, მაგრამ თუ საქმე საკანონმდებლო საკითხის აღმძვრელია, (მუხ 34). იმ შემთხვევაში მისი უკან წაღება არ შეუძლია მინისტრსა ან მთავარ-მართებელს სათათბიროს საზოგადო კრების დაუთანხმებლად; 47. სათათბიროს დასკვნას წარმოადგენს საზოგადო კრების წევრების უმეტესობის აზრი საქმის გარჩევის დროს; სათათბირომ დაწვრილებით უნდა აღნიშნოს დებულებაში, რა ცვლილების შეტანა აქვს მას სახეში; 48. სათათბირო განხილულ მოსაზრებას სახელმწიფო საბჭოს გადასცემს თავისის დასკვნით; 49. ის საკანონმდებლო მოსაზრებანი, რომელნიც უკუგდებულ იქმნება წევრების ორი მესამედის უმეტესობით, როგორც სათათბიროს, ისე საბჭოს საზოგადო კრებებზე, სათანადო უწყებას უბრუნდება, რათა შევსებულ იქმნას და ხელ-ახლა წარდგენილი, თუ უმაღლესი ნებართვა იქმნება; 50. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო საბჭოს გაუჭირდება სათათბიროს დასკვნის მიღება, საქმე, საბჭოს საზოგადო კრების დადგენილებით, შეიძლება გადაეცეს კომისიას, რომელშიაც სათათბიროსა და საბჭოს თანასწორი წევრები ეყოლებათ; ამ კომისიას თავმჯდომარედ ეყოლება სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარე ან საბჭოს დეპარტამენტების ერთ-ერთი თავმჯდომარე; 51. ამ კომისიის (მუხ. 50) მიერ შემუშავებული შეთანხმებითი დასკვნა პირველად შეაქვთ სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრებაზე; თუ შეთანხმება არ მოხდა, საქმე სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრებას უბრუნდება; 52. როცა კრებას არ დაესწრება საკმაო რიცხვი წევრებისა (მუხ. 7), განსახილველი საქმე ხელ-ახლა ინიშნება განსახილველად არა უგვიანეს ორის კვირისა იმ სხდომიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკიდებული, რომელიც არ შესდგა. თუ ამ ვადის განმავლობაში საქმე არ დაინიშნება განსახილველად ანა და ხელ-ახლა არ შესდგა სათათბიროს სხდომა საჭირო წევრთა დაუსწრებლობის გამო, სათანადო მინისტრს ან მთავარ-მართებელს შეუძლიან, თუ საჭიროდ დაინახავს, საქმე სახელმწიფო საბჭოში შეიტანოს, რათა სათათბიროს დასკვნის გამოუთქმელად განიხილოს იგი; 53. როცა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა კეთილ-ინებებს ბ მიაქცევს ყურადღებას სახელმწიფო სათათბიროს მიერ საქმის განხილვის დაგვიანებას, სახელმწიფო საბჭო ნიშნავს ვადას, რომლის განმავლობაში სათათბირომ უნდა წარადგინოს თავისი დასკვნა. თუ სათათბირო დანიშნულ ვადაზე არ წარადგენს თავის დასკვნას, მაშინ საბჭო თავის-თავად არჩევს საკითხს; 54. სათათბიროს წევრები კანონის შეცვლისა ან ახალის გამოცემის შესახებ (მუხ. 34). წერილობით განცხადებას აძლევენ სათათბიროს თავმჯდომარეს. ამ განცხადებასთან უნდა წარადგინონ კანონის მამავალ ცვლილებისა ან ახალის კანონის ძირითად დებულების პროექტი და ქაღალდი ამ პროექტის განმარტებით. თუ განცხადებას ხელს აწერს არა ნაკლებ 30 წევრისა, თავმჯდომარეს შეაქვს იგი განსახილველად სათანადო განყოფილებაში; 55. სათათბიროს განყოფილებაში შეტანილ განცხადების განხილვის დღეს ატყობინებენ მინისტრებსა ან მთავარ-მმართებლებს, რომელთა უწყებასაც შეეხება შეტანილი განცხადება; აუწყებენ აგრეთვე სათანადო შემთხვევებში სახელმწიფო სეკრეტარსაც, რომელთაც უგზავნიან განცხადებისა და მისს შესახებ დებულების პირებს არა უგვიანეს ერთის თვისა; 56. თუ მინისტრი ან მთავარ-მმართებელი ან სახელმწიფო სეკრეტარი (მუხ. 55) თანახმანი არიან სათათბიროს აზრისა არსებულ კანონის გაუქმებისა ან შეცვლისა, ანა და ახალის შემოღების შესახებ, მაშინ საქმეს კანონიერ მსვლელობას მისცემენ; 57. თუ მინისტრი, მთავარ-მმართებელი ან სახელმწიფო სეკრეტარი არ ეთანხმებიან შეტანილ პროექტს, მიღებულს განყოფილებაში და სათათბიროს კრების წევრების ორ მესამედი ნაწილის მიერ, საქმე უმაღლეს სახელზე იგზავნება კეთილ განსახილველად.

თუ ვინიცობაა, უმაღლესი ბრძანება გამოიცა საქმისთვის კანონიერ გზის მისაცემად, მისი ახლობელი დამუშავება ენდობა სათანადო მინისტრს ან მთავარ-მმართებელს ან კიდევ სახელმწიფო სეკრეტარს; 58. სათათბიროს წევრები წერილობით განცხადებას აძლევენ მინისტრებისა ან მთავარ-მმართებლების მოქმედებაზე კანონმდებლობის (მუხ. 35) დარღვევისა. განცხადებაში უნდა აღნიშნული იყოს, რაში გამოიხატა კანონის დარღვევა და რომელი კანონი დაარღვიეს. თუ განცხადებას ხელს აწერს არა ნაკლებ 30 წევრისა, იმ შემთხვევაში სათათბიროს თავმჯდომარეს შეაქვს იგი საზოგადო კრებაზე განსახილველად; 59. სათათბიროს საზოგადო კრების წევრების უმეტესობის მიერ მიღებული განცხადება (მუხ. 58) ეცნობება სათანადო მინისტრს და მთავარ-მართებელს; 60. მინისტრები და მთავარ-მართებელნი არა უგვიანეს ერთის თვისა დღიდან განცხადების წარდგენისა (მუხ. 59) აუწყებენ სახელმწიფო საბჭოს საჭირო ცნობებს, ანა და შეატყობინებენ მიზეზს, რამაც დაუშალა მათ მიეცათ საჭირო ცნობები; 61. თუ სათათბიროს საზოგადო კრების წევრების ორი მესამედი უმეტესობა არა სცნობს შესაძლოდ მინისტრისა ან მთავარ-მართებლის (მუხ. 60) ცნობით დაკმაყოფილდეს, იმ შემთხვევაში, უმალლესად წარედგინება საქმე სახელმწიფო საბჭოს შემწეობით; 62. სათათბიროს შინაურ წეს-წყობილების დაწვრილებითი ცნობები, უწყების საგნები, მოქმედების წესი, რომელიც ნაჩვენებია რჩევის მეთორმეტე მუხლში, და აგრეთვე სათათბიროს კანცელარიისა და მისის ბოქაულის ვალდებულებანი განიმარტება სათათბიროს მიერ გამოცემულ განკარგულებით; 63. მესამოცდაორე მუხლის წინამორბედი განკარგულება საჯაროდ გამოცხადდება სენატის შემწეობით.

დებულება სახელმწიფოს სათათბიროს წევრთა არჩევნის წეს-რიგისა.

სახელმწიფო სათათბირო წევრებს ირჩევენ გუბერნიებისა, ოლქებისა და შემდეგ ქალაქებში: პეტერბურგსა, მოსკოვსა, ასტრახანსა, ბაქოსა, ვარშავასა, ვილნოსა, ვორონეჟსა, ეკატერინოსლავსა, ირკუტსკსა, ლოძსა, ნიჟნი-ნოვგოროდსა, ადესასა, ორიოლსა, რიგასა, როსტოვსა დონზე ნახჩევნით, სამარასა, სარატოვსა, ტაშკენტსა, ტფილისსა, ტულასა, ხარკოვსა, იაროსლავსა, პოლონეთისა სამეფოსა, ციმბირის ოლქებსა, სტეპნოისა და თურქესტანის საგენერალ-გუბერნატორებისა, კავკასიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამესტნიკოსა, აგრეთვე მომთაბარე არა-რუს ერთა გარდა, გუბერნიებში არჩევანს ახდენს საგუბერნიო საარჩევნო კრება, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით დაარსებული ამომარჩეველთაგან, რომელთაც ირჩევს 3 კრება სამაზრო მიწათმფლობელთა, საქალაქო ამომარჩეველთა და სოფლებისა და სტანიცების რწმუნებულთა. ამომარჩეველთა რიცხვი ყოველ გუბერნიაში 32-დან 225-მდე ადის. სათათბიროს წევრთა არჩევანს ქალაქებში საარჩევნო კრება ახდენს, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით შედგენილ ამომარჩეველთაგან, რომელსაც სატახტო ქალაქებში 160 ირჩევენ, ხოლო დანარჩენ ქალაქებში 80. არჩევნის უფლება არა აქვთ ქალებს, 25 წელზე ნაკლებ ხნის კაცებს, მოსწავლეთ და ნამდვილ სამსახურში მყოფ სამხედრო პირთ. არჩევანში მონაწილეობას იღებენ გუბერნატორები, მთავარი უფროსები, ვიცე-გუბერნატორები და აგრეთვე პოლიციის მოხელენი იმ გუბერნიებისა და ქალაქებისა, სადაც არჩევანს ახდენენ. ქალებს უფლება აქვთ თავიანთ საარჩევნო ქონებრივი ცენზი გადასცენ თავიანთ ქმრებსა და ვაჟი-შვილებს, ვაჟიშვილებს უფლება აქვთ თავიანთ მამების ნაცვლად მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში იმათის რწმუნების ძალით. ამომრჩეველთა კრება მოწვეულ იქნება საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში: სამაზრო მიწისმფლობელთა და სოფლების რწმუნებულთა კრება მაზრის თავად-აზნაურთა თავმჯდომარეობით, ამომრჩეველთა კრება—ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით. სამაზრო მიწის მფლობელთა კრებაში მონაწილეობას იღებენ: ის პირნი, რომელთაც მაზრაში მიწა აქვთ 100-დან 800 დესეტინამდე—მიწის რაოდენობა ყოველ მაზრისათვისაა აღნიშნული—და საერობო გადასახადს იხდიან, ან ისეთი უძრავი ქონება აქვთ, რომელიც სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებას არ წარმოადგენს და 15 ათას მანეთზე ნაკლებად არა ღირს, რწმუნებულნი იმ პირთა, რომელთაც მაზრაში მიწა ან უძრავი ქონება ცენზით დანიშნულზედ ნაკლები აქვთ, ეს რწმუნებულნი საერთოდ სრულ ცენზს ადგენენ და ერთ რწმუნებულს ირჩევენ; იღებენ მონაწილეობას რწმუნებულნი იმ სამღვდელო პირთა, რომელთაც მაზრის ქალაქებში მიწა აქვთ. ქალაქელ ამომრჩეველთა კრებაში მონაწილეობას იღებენ: ის პირნი, რომელთაც ქალაქებსა და მაზრებში ისეთი უძრავი ქონება აქვთ, 1,500 მანეთადაა დაფასებული საერობო გადასახადის გასაწერად ან საწარმოვო მოწმობის აღებას მოითხოვს: თუ სავაჭრო დაწესებულებაა—პირველ ორის ხარისხის მოწმობას, თუ სამრეწველო—პირველ ხუთის ხარისხის მოწმობას, ანუ ის პირნი, რომელნიც სახელმწიფო სადგომის გადასახადს იხდიან დაწყებული მეათე ხარისხიდან, პირნი რომელნიც პირველ ხარისხის ძირითად საწარმოვო გადასახადს იხდიან, პირად საწარმოვო საქმეებზე დაწესებულს. სოფლის რწმუნებულთა კრებაში მონაწილეობას იღებენ სოფლის კრების მიერ არჩეულნი, ორ-ორი ყოველ სოფლიდან მთელს მაზრაში. ამ პირთ ირჩევს სოფლის კრება იმ გლეხთაგან, რომელნიც აღნიშნულ სოფლის წევრთა ეკუთვნიან. საქალაქო საარჩევნო კრებაში ქალაქის ამომრჩეველთა ასარჩევად მონაწილეობას იღებენ პირნი, რომელთაც ქალაქებში უძრავი ქონება აქვთ: სატახტო ქალაქებში 3 ათას მანეთზე არა ნაკლებ ღირებული, დანარჩენ ქალაქებში 1500 მანეთზე არა ნაკლებ ღირებული; ან სავაჭრო სამრეწველო დაწესებულება აქვთ სატახტო ქალაქებში პირველ ხარისხის სავაჭრო დაწესებულება, ან პირველ სამის ხარისხის სამრეწველო დაწესებულება, დანარჩენ ქალაქებში სავაჭრო დაწესებულება პირველ ორის ხარისხისა, სამრეწველო დაწესებულება—პირველის სამის ხარისხისა; მონაწილეობას იღებენ აგრეთვე პირნი, რომელნიც ძირითად პირველ ხარისხის საწარმოვო გადასახადს იხდიან და პირნი, რომელნიც სადგომის გადასახადს იხდიან, მეათე ხარისხიდან დაწყებული. ყოველ საარჩევნო კრებასა და ნაწილში არავის არ შეუძლიან ერთ ხმაზე მეტი იქონიოს. გუბერნატორებსა და გრადონაჩალნიკებს დაევალებათ შინაგან საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით საზოგადოებრივ მხედველობა გაუწიონ არჩევნების წესიერ წარმოებას.

არჩევნების სისწორით გამოსაკვლევად და საჩივრების განსახილველად არსდება საგუბერნიო და სამაზრო კომისიები საარჩევნო საქმეებზე; საგუბერნიო კომისიები საოლქოს სასამართლოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით შესდგებიან სახაზინო პალატის მმართველისა, თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარისა, ქალაქის მოურავისა, ოლქის სასამართლოს წევრისა და საგუბერნიო საკრებულოს მუდმივ წევრისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაზრო კომისია ოლქის სასამართლოს წევრის თავმჯდომარეობით შესდგება მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, მომრიგებელ ან ქალაქის მოსამართლესა სამაზრო საერობო გამგეობის თავმჯდომარისა, ქალაქის მოურავისა, გადასახადთა ინსპექტორის და ერთის საერობო უფროსისაგან.

საარჩევნო სიები.

იმ პირთა სიას, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამომრჩეველთა არჩევანში საქალაქო საარჩევნო კრებებისათვის ქალაქის გამგეობა ადგენს. საარჩევნო სიებში ირიცხებიან ის პირნი, რომელთაც უძრავი ქონება ერთ წელიწადზე ნაკლებ ხანს არა ჰქონიათ და საწარმოვო გადასახადი წელიწადზე არა ნაკლებ ხანს უხდიათ. სიებს არჩევნამდე ექვსის კვირით წინ ბეჭდენ ადგილობრივ უწყებებში და საყოველთაოდ აცხადებენ ისეთის წესით, რომ ეს სიები, რაც კი შეიძლება, ყველამ გაიგოს. ორის კვირის განმავლობაში უფლება აქვთ, საჩივარი შეიტანონ სიების უკანონობაზე. ზემორე აღნიშნულ ქალაქებში საქალაქო საარჩევნო კრების წევრთა ასარჩევად, ყოველ საარჩევნო ნაწილში არსდება საარჩევნო კომისია თავმჯდომარისა და ორის წევრისა, რომელთაც ქალაქის მოურავი საარჩევნო უფლების მექონ პირთაგან მოიწვევს. არჩევანს დახურულის კენჭის ყრით ახდენენ, სამაზრო კრებებში კენჭის ყრით, საქალაქო საარჩევნო კრებებში ბარარებით. ამომრჩეველთ მხოლოდ იმ პირთაგან უნდა ირჩევდნენ, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა არჩევანში სწორედ იმ კრებასა და ნაწილში, სადაც არჩევანი ხდება. მაზრის ამომრჩევლად იმ პირთ იცნობენ, რომელნიც კრების მონაწილეთა ხმის ნახევარზე მეტს მიიღებენ. ქალაქებში ამომრჩეველთ უბრალო ხმის უმეტესობით ირჩევს საარჩევნო ნაწილი. საჩივარი არჩევნის უკანონობაზე სამის დღის ვადაზე უნდა წარმოადგინონ. საგუბერნიო კრების ამომრჩეველთა სიას ადგენს სამაზრო კომისია საარჩევნო საქმეებზე; საქალაქო ამომრჩეველთა სიას საგუბერნიო კომისია. სიებს დაუყოვნებლივ იცხადებენ.

სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევანი.

საგუბერნაო საარჩევნო კრებაში თავდაპირველ-სამაზრო კრებათა ამომრჩეველნი და სოფლის გულ-

რწმუნებულნი ერთს წევრს ირჩევენ სახელმწიფო სათათბიროში. შემდეგ საარჩევნო კრება საერთოდ ირჩევს სათათბიროს წევრათ დანარჩენ რიცხვს. როგორც საგუბერნიო, ისე საქალაქო საარჩევნო კრებაში არჩევანი დახურულ კენჭის ყრით ხდება. წინდაწინ ბარათებით კანდიდატებს ჰნიშნავენ, თუ იმ პირთა რიცხვი, რომელთაც საგუბერნიო, ან საქალაქო საარჩევნო კრებაში ხმის ნახევარზე მეტი მიიღეს, ათათბიროს წევრთა დანიშნულ რიცხვს არ უდრის, მაშინ მეორე დღეს კრება იმავ წესით დამატებით არჩევანს ახდენს დანარჩენ წევრთა ასარჩევად თუ ამ არჩევანმაც უსარგებლოდ ჩაიარა. მესამე დღეს საბოლოო არჩევანი ხდება დანარჩენ წევრთა ასარჩევად და არჩეულად ის ითვლება, ვინც შედარებით მეტ ხმას მიიღებს. ის პირნი, რომელთაც სახელმწიფო სამოქალაქო სამსახურში თანამდებობა უჭირავთ ან განსაზღვრულს ჯამაგირს იღებენ, თუ სათათბიროს წევრად არჩეულ იქნება, მოვალენი არიან თანამდებობა მიატოვონ. არავის არა აქვს უფლება, სათათბიროს წევრობაზე ერთს საარჩევნო კრების გარდა, სხვა კრებაშიაც იყაროს კენჭი. წევრმა უსათუოდ უნდა იცოდეს რუსული ენა. საჩივარს სათათბიროს წევრის არჩევანზე გუბერნატორის საშუალებით მართებელ სენატს უდგენენ. თუ არჩევანი გაუქმდა, ან სათათბიროს წევრი იმ დროს გადადგა, როცა ახალ არჩევნამდე წელიწადზე მეტი ხანი რჩება, ახალი არჩევანი უნდა მოხდეს. სახელმწიფო სათათბიროს წევრთა სიას მართებელ სენატი ადგენს და საყოველთად აცხადებს.

ქალაქის საარჩევნო კრებების არჩევნების წესები.

ყოველის საარჩევნო ნაწილის ამომრჩეველთ ნება აქვთ, ერთის თვის განმავლობაში არჩევნებამდე დააწესონ მოსამზადებელი კრებები ამოსარჩევ პირების შესახებ. მოსამზადებელ კრებას შეუძლიანთ დაესწრონ მხოლოდ განსაზღვრულ საარჩევნო ნაწილის ამომრჩეველნი. პოლიციის შემწეობით დაუყოვნებლივ უნდა დაიხუროს კრება. ამომრჩეველი პირადათ აბარებს თავის საარჩევნო ბარათს თავმჯდომარეს; არჩევნები ერთ დღეს გასტანს ან მოხდება ერთ და იმავე დროს ყველა საარჩევნო ნაწილებში. ხმებს მეორე დღეს დაითვლიან საარჩევნო კომისიის სხდომაზე, რომელსაც შეუძლიანთ დაესწრონ ამომრჩეველნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო სათათბიროს წევრების რიცხვი 51 გუბერნიისა და ოლქიდან.

არხანგელსკის გუბერნიიდან—2, ასტრახანის, კურლიანდიისა, ოლონეცისა, პეტერბურგისა და ესტლიანდიიდან—სამ-სამი, ლიფლიანდიისა, პსკოვისა, იაროსლავიდან—ოთხ-ოთხი, ვოლოგდისა, კალუგასა, ტულიდან—ხუთ-ხუთი, ვილნოსა, ვიტებსკისა, ვლადიმირისა, კოვნოსი, კოსტრომისა, მოსკოვისა, ნიჟეგოროდისა, ნოვგოროდისა, პენზისა, სიმბირსკისა სმოლენსკისა, და ტავრიდიდან—ექვს-ექვსი, გროდნოსა, მოგილევსა და ორენბურგიდან—შვიდ-შვიდი, ბესარაბიისა, ორიოლისა, რიაზანისა და ტვერიდან—რვა-რვა, ეკატერინოსლავისა, ყაზანისა მინსკიდან—ცხრა-ცხრა, კურსკისა, სარატოვისა, უფისა, ხარკოვისა და ჩერნიგოვიდან—ათ-ათი, ვორონეჟიდან—თერთმეტი, პოლტავისა, სამარისა და ტამბოვიდან—თერთმეტ თერთმეტი, ვოლინისა, ვიატკისა, პერმისა და პოდოლიდან—ცამეტ-ცამეტი, კიევიდან—თუთხმეტი; ქალაქ პეტერბურგიდან—6, მოსკოვიდან—4, ასტრახანი, კიშინევი, ვილნო, ვორონეჟი, როსტოვი დონზე, ეკატერინოსლავი, ყაზანი, კიევი, კურსკი, რიგა, ნიჟნი, ორიოლი, სამარა, სარატოვი, ტულა, ხარკოვი და ადესა ირჩევენ თვითო-თვითოს.

დამატებითი წესები.

ხელმწიფე იმპერატორმა 6 აგვისტოს ბრძანა: 1. შესდგეს განსაკუთრებული საბჭო იმ წესების განსახილველად, რომელიც უნდა დაემატოს სახელმწიფო სათათბიროს შესახებ კანონებს. ამ წესებს შორის არის: 1. არჩევა სახელმწიფო სათათბიროს წევრებისა პოლონეთში, ურალისა და ტურგიას ოლქებში, ციმბირის გუბერნიებსა და ოლქებში, სტეპნოისა და თურქესტანის საგენერალ-გუბერნატოროებში და კავკასიის სანამესტნიკოში, აგრეთვე არჩევა სათათბიროს წევრებისა უბინადრო არა რუსთაგან (დებულება არჩევნების შესახებ სახელ. სათათბირორი მუხ. I შენიშვნა) 2. სისრულეში მოყვანა იმ დებულებისა, რომელიც სათათბიროს წევრების არჩევას შეეხება; 3. ის წესრიგი, რომლითაც განხილულ უნდა იქნას სამინისტროებისა და მთავარ-გამგეობის სავარაუდო აღრიცხვები და სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, აგრეთვე წესრიგი იმ ფულის გადადებისა ხაზინიდან, რომელიც აღრიცხვაში არ იქნება აღნიშნული.

II. ზემოხსენებულ საბჭოს თავმჯდომარედ იქნება სტატს-სეკრეტარი გრაფი სოლსკი; წევრებად: სახელმწიფოს საბჭოს წევრები ფრიში და პოლოვცევი, გენერალ-ადიუტანტი რიხტერი, სტატს-სეკრეტარი თავ. ვოლკონსკი, გენერალ-ადიუტანტი ჩიხაჩევი, დეისტ. ტაინი სოვ. გერარდი, გოლუბევი, ტაგანცევი და ვერხოვსკი, თავ. ობოლენსკი I და ტაინი სოვ. სტაშინსკი, მინისტრები და მთავარ-გამგებელნი, სახელმწიფო სეკრეტარი, მინისტრთა კომიტეტის საქმეების გამგე ბარონი ნოლდე და გენერალ-მაიორი ტრეპოვი.

III. როდესაც ეს საბჭო განიხილავს შემოსავალ-გასავლის აღრიცხვებს, სხდომებში ზემოდ ჩამოთვლილთა გარდა მონაწილეობას მიიღებენ სტატს-სეკრეტარი კულომზინი, ტერნერი, ივაშჩენკოვი, საბუროვი, კობეკო, შიდლოვსკი, ჩერევანსკი და რომანოვი.

IV. მინისტრებს და მთავარ-გამგეობას შეუძლიანთ თავიანთ მაგიერ თავიანთი ამხანაგები გაჰგზავნონ. საბჭოს საქმის წარმოება დაევალოს ხარტონოვს. ამას გარდა ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა: ის საკითხები, რომელსაც გამოიწვევს სახელმწიფოს სათათბიროს კანონდებულებათა განხორციელება, შემუშავებულ იქნას რაც შეიძლება ჩქარა.

უმაღლესი ბრძანება სოფეხთა საქმეების შესახებ.

როცა კავკასიაში ნამესტნიკობა აღვადგინეთ, ჩვენმიერ არჩეულს ნამესტნიკს დავავალეთ ზრუნვა ამ კეთილის მყოფელ ქყეყანაში მშვიდობიანობის დამყარების შესახებ. ჩვენმა ნამესტნიკმა გამოარკვია ზოგიერთი გარემოებანი და წარმოგვიდგინა თვისი მოსაზრებანი სომხების იმ საქმეთა შესახებ, რომელთა აწეწილი მდგომარეობა ხელს უშლიდა ქვეყნის წესიერს განვითარებას. კეთილად ვსცანით დავამტკიცოთ ნამესტნიკის მოხსენება და ამით ღონიძიებას ვუწყალობებთ სომეხ-გრიგორიანთა სამღვდელოებას ხალხის განვითარებაზე თავისუფლად და ბეჯითად

ზრუნვისათვის. ვბრძანებთ-რა ამასთანავე, რომ ქვემოდ აღნიშნულ პირობებით სომეხთა ეკკლესიას დაუბრუნდეს ჩამორთმეული მამულები, ნებას ვაძლევთ ჩვენს ნამესტნიკს, კავკასიის მხარეში დროებით, სანამ კანონი გამოიცემა, განახორციელოს წესები, რომლით უზრუნველ-ყოფილი იქნება სამწყსოს მონაწილეობა საეკკლესიო მამულების მართვა-გამგეობის საქმეში; ხოლო ამ ერიდან ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ნამესტნიკმა უნდა შეიმუშაოს კანონები სომეხთა ეკკლესიისა და მთავრობის დაწესებულებათა ურთიერთობის შესახებ. ამის მიხედვით ვბრძანებთ:

1) 12 ივნისის 1903 წ. უმაღლესი ბრძანება გაუქმდეს და გადაეცეს სომეხთა საეკკლესიო დაწესებულებათ ყველა საეკკლესიო მამულები და თანხები, რომელიც სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიებს, მონასტრებს, საეკკლესიო-სამრევლო სკოლებს ეკუთვნოდა, ყველა იმ მოგებით, რაც ხაზინის გამგებლობის დროს ჰქონდა, გარდა იმ ხარჯისა, რომელიც დღემდის ხაზინას ჰქონია ამ მამულებზე და რომელიც ხაზინას მოუვიდა მამულების ჩაბარების დროს. მამულების და თანხების დაბრუნება მოხდეს ნამესტნიკისა და შინაგან საქმეთა და მიწათ მოქმედების მინისტრების ურთიერთ შეთანხმებით; 2) საბოლოო გადაწყვეტა სომეხთა სამღვდელოების განცხადებათა და შუამდგომლობათა მამულების გადაცემის დროს მიენდოს ნამესტნიკს; 3) ჩვენსავე ნამესტნიკს მიენდოს, სანამ გამოიცემა ახალი კანონები საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მართვა-გამგეობის შესახებ, მიეცეს ნება სომხების ეკკლესია-მონასტრებთან სამრევლო სკოლების გახსნისა 1874 წ. 19 ივლისს უმაღლესად დამტკიცებულის წესების ძალით; მიენდოს ნამესტნიკს: ა) დაუყოვნებლივ წარმოადგინოს მოხსენება სომეხთა საეკკლესიო სკოლების ახალ დებულების შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაუბრუნდეს ამ სკოლებს 1898 წ. 26 მარტისა და 1903 წ. 12 ივნისის უმაღლეს ბრძანებათა თანახმად საერო განათლების სამინისტროსათვის გადაცემული მამულები და თანხები; ბ) შეიმუშაოს კანონები საეკკლესიო მიწებზე მცხოვრებ გლეხთათვის და ჩვენ წარმოგვიდგინოს დასამტკიცებლად.

უმაღლესი სენატი მოახდენს შესაფერს განკარგ[illegible]ს ამ ჩვენის ბრძანების აღსასრულებლად.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა მე-45 კრება ქ. ქუთაისში 16—22 მარტს.

(გაგრძელება*)

ერთ ადგილას დედა მიწაზე ველური ხალხი სცხოვრებს. ამ ველურ ხალხს ჩვეულებად აქვს დადებული არც ერთი მოხუცი, სამოცი წლის შემდეგ, ცოცხალი არ გაუშვან. შეიქნება თუ არა კაცი 60 წლის წაიყვანენ ველზე, დაასობენ ორ მაღალ ბოძს, გასდებენ ჯოხს ზემოთ, აიყვანენ კიბით მოხუცებულს და მოაკიდებინებენ ამ გადებულ ჯოხს ხელებს. საბრალო მოხუცი სანამ შეიძლებს ასე ჩამოკიდებულად ყოფნას კაცები ძირს ბოძებს უვლიან და იძახიან: „ხილი, რომ დამწიფდება და ჩამოვარდება უნდა შეიჭამოს“. საცოდავ მოხუცს ბოლოს მოუსხლტება და დაეცემა ძირს, აქ მივარდებიან საბრალო მოხუცს და ნაწილ-ნაწილად დაგლეჯენ და შესჭამენ. ეს ამბავი წაეკითხა, თუ არ ვიცი რით ხელმძღვანელობდა, ერთმა დეპუტატმა სემინარიელმა განაცხადა კრებაზე და ითხოვდა ყველა მღვდლები, რომელთაც სამოცი წელიწადი შესრულებია დათხოვნილი ყოფილიყვნენ და მათ ნაცვლად ახალგაზდები ეკურთხებიათ.

„უნდა იცოდეთ, მამანო, სთქვა ამ მამამ, შიმშილით კვდებიან ზოგიერთი ახალგაზდები, რადგან ადგილი დაცულია მოხუცებული მღვდლებისაგან. (თურმე შიმშილის გამო მიდიან მღვდლათ, თორემ მღვდლობის არაფერი არა სწამთ ამ ბატონებს!) ეს საზოგადოებამაც კარგათ შეატყო ზოგიერთებს და ჯეროვან პატივსაც სცემენ... მოციქულების კანონით მღვდლად კურთხევა არ შეიძლება სანამ ოცდა-ათი წლის არ შეიქნება სამღვდლო კაცი. ეს კანონი უარ-ჰყვეს ჩვენში. თუ რუსული ენა შეუსწავლია რამდენიმე—თვრამეტი წლისასაც შეუძლია ეკურთხოს. რუსული ენა თუ არ იცის რაც კარგი ზნეობის და სარწმუნოების იყოს კაცი მისი კურთხევა სულ არ შეიძლება. ამისთანა წესების შემოღებამ გაუტეხა სახელი ჩვენს სამღვდელოებას და თუ საქმე არ გასწორდა უარესი მოელის სამღვდელოების წოდებას. სემინარიელებს ტყუილა ემღურიან და აუგებენ სარწმუნოების გულგრილობისათვის. პირველი საუგბელია მათი მასწავლებელნი

---

*) იხ. „მწყემსი“ № 12 1905 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აღმზრდელნი და არა მათი აღზრდილები, რადგან მოსწავლე ვერ შეიძენს მას რაც მის მასწავლებელს არა აქვს...

რამდენიმე დეპუტატებმა განაცხადეს, რომ სამღვდელოებას აქვს ოცდ-ათი ათას მანეთამდე ფული ქალების სკოლასთან პანსიონის ასაგებად და სემინარიის სახლის ასაშენებლად. კარგი იქნება, რომ სამღვდელოებას მიესესხოს ეს ფულები ამისთანა გაპირვების დროს და როცა ჯამაგირები დაინიშნება შემდეგ ისევ დაიბრუნებენ ამ ფულებსო. ამ რამდენიმე დეპუტატების ხმის ნახევარზე მეტი დეპუტატები მიემხრენ. ზოგიერთები ამტკიცებდენ, რომ ამ ფულების გასესხების უფლება არავის არა აქვსო. სამღვდელოებას შეუძლია ეს ფულები მოიხმაროს რამე საზოგადო და სასარგებლო საქმეზე ან შემომტანთ დაურიგონო. კრებამ არ მიაქცია ამ განცხადებას ყურადღება და გადასწყვიტა: მიესესხოს უჯამაგირო მღვდლებს ახალი ჯამაგირის დანიშვნამდე და მერე უკან დააბრუნონ. ეს ჟურნალი კანონიერი არ იყო, მაგრამ რადგან ყველა აწერდა ხელს დამტკიცდა. უკანასკნელ დროს გამოირკვა საქმე და აღმოჩნდა, რომ სამღვდელოების შეკრებილი ფულები პანსიონის ასაშენებლად ქალების სასწავლებელის საბჭოს დაუხარჯავს. საბჭოს სრულებით არ მიუქცევია ყურადღება ჟურნალისათვის, რომლითაც ეს ფულები იგროვებოდა ⰴ ნაბრძანებიც იყო სამღვდელოების დაუკითხავად ერთი გროში ამ ფულებიდან არ დახარჯულიყო. მაგრამ ეს გასაკვირველი არ არის, რადგან სამღვდელოებამ, საბჭოს აზრით, ფულები უნდა შეკრიბოს და ეს ფულები როგორ უნდა დახარჯოს საბჭომ, მისი საქმეა, აღარ კითხულობს რა-პირობით იკრიბება ფულები ⰴ ან რა საჭიროებისათვის. საბჭო თურმე მართლულობს თავს მით, რომ ბლაღოჩინები არ ადგენენ მათდამი ხვედრ ფულებსო. ქუთაისის და ლეჩხუმის ბლაღოჩინების უმეტეს ნაწილს არ შემოუტანია მათ საბლაღოჩინო სამღვდელოების შემოსატანი ფულები და მათი ფულების მაგიერ სასწავლებლის საბჭოს უხარჯავს უკანონოდ სამღვდელოებისაგან სხვა საგანზე შეკრებილი ფულები. ეს ნამეტანი სისუსტის ნიშანი არის ჩვენი საქმის მართვა-გამგეობისა. ბევრი ბლაღოჩინები ასე სუსტად ასრულებენ თავის მოვალეობას. სასულიერო მთავრობამ ეს ბლაღოჩინები რომ დაითხოვოს თავის თანამდებობიდან ისინი შემოიტანდენ არა თუ სამღვდელოებისაგან შემოსატან ფულებს, არამედ თვითონ თავის საკუთრებიდანაც გადიხდიდენ. ზოგიერთებს იქნება აღებულიც აქვთ, მაგრამ თავის დროზე არ ადგენენ ამ ფულებს. სამღვდელოების დეპუტატებმა მკაცრი ყურადღება უნდა მიაქციოს ქალების სკოლის შესავალ-გასავლის საქმეს და მოითხოვოს სუსტი ბლაღოჩინებიდან ან რიგიანად ფულების წარმოდგენა ან მათი დათხოვნა და მათ მაგიერ სხვა უმჯობესი პირების დანიშვნა.

სამღვდელოების ფულების დახარჯვა 3 მღვდლისაგან შედგენილმა კომიტეტმა გამოიკვლია, რომელთაც ცხრა თუმანი მიიიღეს შრომისათვის! განა საჭირო იყო ამის შესატყობად 9 თუმნის დახარჯვა? რათ არ იძლევა ქალების სკოლის საბჭო შესავალ-გასავლის ანგარიშს, როდესაც იგი ამ ანგარიშის მიცემას კანონი ავალებს? დიაღ, სამღვდელოება არც თავისიანებმა გაიტანეს და არც სხვებმა. ბევრს ლაპარაკობენ კრებებზე დეპუტატები, მაგრამ საჭირო საქმეებზე სრულებით არაფერს არ ამბობენ. ხარჯისა და ფულების შეკრების საქმე ასე ცუდათ მიდის სასწავლებელში და ხუთას მანეთობით კიდევ საჩუქრებს აძლევენ, ვითომ ჯამაგირი არა კმარიყოს მათთვის! იმედია, რომ სამღვდელოების დეპუტატები უფრო რიგიანად დაუკვირდებიან თავიანთ საქმეებს და შორს გამჭვრეტელობას გამოიჩენენ და ისე უბრალო და უსარგებლო ლაპარაკით დროს არ დაკარგვენ როგორც ეს ამ უკანასკნელ კრებაზე გამოიჩინეს.

(გაგრძელება იქნება).

დამსწრე.



ზემო სვანეთი.

მდებარეობა.—გზა.—სოფლები.—ოჯახის მორთულობა.—ოჯახის წევრთა სიმრავლე და მათი ერთმანეთში დამოკიდულება.—სამშობლო მხარესი და იარაღის სიყვარული.

ყველას მგონი მოეხსენება, თუ როგორ განკერძოებულ საქართველოს მხარეს წარმოადგენს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ზემო სვანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის არის თითქმის ყოველი მხრიდგან შემოზღუდული მაღალი და მიუვალი მთებით: აღმოსავლეთით, ზემო და ქვემო სვანეთს შუა არის აყუდებული ლატფარი, მუშური და თეთნულდი; დასავლეთით მიჰყვება ვიწრო ენგურის ხეობა; ჩრდილოეთით დაჰყურებს კავკასიონის ქედი უზარმაზარი იალბუზით და სამხრეთით—სვანეთის ქედი.

ზემო სვანეთში შედის ორი გზა: პირველი გაივლის მეგრელიის სოფელ «ჯვარზედ» (ზუგდიდიდან 29 ვერსტი) და მიჰყვება ენგურის ხან მარცხენა და ხან მარჯვენა მხარეს; სიგრძით ეს გზა სვანეთის პირველ სოფელ „ლახამულამდე“ არის 63 ვერსი და ისეთი წვრილი მიხვეულ-მოხვეული და აღმართ დალმართია, რომ უცხოკაცს შიშს მოჰგვრის ხოლმე. ამ გზას ეძახიან „ლენპერის“ გზას. მეორე გზა არის ლეჩხუმით; ის გაივლის სადადიანო სვანეთს, გადავლის «ლატფარის» მთას, რომელზედაც კარგი საცხენოსნო გზა არის გაყვანილი და გადადის ზ. სვანეთში. მაგრამ, რადგანაც ეს მთა ზამთრობით დაკავებულია, ამიტომ საზამთრო გზა აქვე მდებარე „მუშურის“ მთით, რომელიც უფრო ჯოჯოხეთურია, ვინემ ზემოდ ნახსენები «ლენკერის» გზა, რისთვისაც უმეტეს შემთხვევაში სვანები მგზავრობას ამ უკანასკნელით რჩეულობენ ხოლმე.

ადვილი მისახვედრია, რომ ისეთ ქვეყანაში როგორიც სვანეთია, ზამთარი ეცოდინება მეტად ცივი და გრძელი, რომლის განმავლობაში სვანეთიდგან ლეჩხუმ-მეგრელიაში, ან უკანასკნელებიდგან პირველში გადასვლ-გადმოსვლა მეტად ძნელი იქნება, რადგანაც ის ზემოხსენებულნი ბილიკებიც-კი, რომლებიც ზაფხულობით ცუდათ თუ კარგათ გზის მაგიერობას ასრულებენ, ზამთრობით თოვლით და შავვით ივსებიან და მათზედ მგზავრობას საშიშარს ხდიან. ამნაირად სვანეთი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და უგზოობით სრულიად მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყანას და წარმოადგენს ჩავარდნილ ადგილს.

ზემო სვანეთში მიმდინარეობს მდ. ენგური, რომლის ხეობაში მოსახლეობენ მცხოვრებნი, ისე, როგორც ქართლ-კახეთში, ე. ი. ჯგუფ-ჯგუფათ და ყოველივე ამისთანა ჯგუფი, თუნდაც $^1/_4$—$^1/_3$ ვერსტით იყოს დაშორებული უმთავრეს ჯგუფიდან და სამი-ოთხი კომლისაგან მარტო შესდგებოდეს, მაინც ცალკე სოფლად იწოდება და მიუხედავათ (თავისი) კომლთა სიცოტავისა, თავისი საკუთარი ეკკლესია მაინც ჰქონია, რასაც ამტკიცებენ ძველი ეკკლესიათა ნამგრეგები ამ პატარა სოფელში. ამგვარ ზემოხსენებულ რამდენიმე პატარა სოფლების ჯგუფებისაგან შესდგება ერთი საზოგადოება, ერთი სამამასახლისო, რომელიც იწოდება ამ სოფლებ-შორის უმთავრეს სოფლის სახელით. სოფლებს ამშენებს მრავალი ციხე-კოშკები 10—15 საჟენამდის სიმაღლით, რომლებიც ყოველ ცალკე მოსახლეს თუ არა, ყოველ თემს მაინც აქვს თითო ოროლი, სადაც თავს იფარავენ და იფარავენ ეხლაც თუ დასჭირდათ თავიანთი მტრებისაგან.

სახლებს აშენებენ მაღალს, ოთხკუთხს, ქვისას უმეტესად და ძვირად ხისას. უმთავრეს სახლს აქვს ათასი სხვა-და-სხვა მიდგმულ-მოდგმული, რის გამო ის წარმოადგენს უშველებელ „ლაბირინტს“, სადაც კარგი წინამძღოლი თუ არ გეყოლათ დაიბნევით და სიბნელის გამო შიგნით ერთხანს ვერაფერს გაარჩევთ. ხურვენ სადგომებს ყავრით და პრტყელი ასპიდის ქვით. ეს სახლი განიყოფება ქვემო და ზემო სართულათ. ზედა სართულში ინახვენ საქონლისთვის სხვა-და-სხვა საკვებს, ქვედაში კი ჰყავთ დაბინავებული ყველა თავისი საქონლები (რომლებიც, შედარებით რომ ვსთქვათ ბევრი ჰყავთ): ხარები და ძროხები, თხები და ცხვრები, ცხენები და შინაური ფრინველები. აქვე ცეცხლის პირას დასვირნობს ტალახუნი ამოთხუპნული ღორი, რომელიც ხან ერთს ჰკრავს დინგს და ხან მეორეს. ამ საქონლებს უკავიათ ირგვლივ მთელი ქვემო სართული; მხოლოდ კერას გარშემო რჩება რამოდენიმე საჟენი თავისუფალი ადგილი, სადაც მოთავსებულნი არიან თვითონ ოჯახში მყოფნი, თავისი სხვა-ტ-სხვა ოჯახის მოწყობილობით. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი სისუფთავე იქნება ამისთანა სახლში, სადაც ყველაფერი ერთადაა არეული და ფეხს ვერ შეუართ ათასს სხვა-და სხვა უთავბოლოდ მიყრილ-ბარგი-ბარხანას.

სვანებში ძალიან არის გახშირებული გაუყოფლობა. ესენი ხშირად სამ-ოთხ დგმამდიც ყველანი ერთად ცხოვრობენ და სცდილობენ, რომ უთანხმოება, რასაც ხშირად გაყოფა მოსდევს, არ მოუვიდესთ ერთმანეთში; ამიტომ ხშირად სდებენ ურთიერთ შორის ოჯახის წევრნი წერილობითი პირობას, რომ იმ პირმა, რომელმაც გაყრა მოინდომოს და მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზეზი იქნეს, ამდენი და ამდენი ჯარიმა გადაიხადოს მეორე ოჯახის წევრის სასარგებლოდაო ამნაირი ერთად ცხოვრების უნარი გამოიწვია მათში უმეტესად მიწის სიტოტავემ. სვანები მიხვდნენ, რომ თუ გაიყრებიან ეს თავისი ცოტა ადგილ-მამული მაშინ მეოთხედ მათგანს არ ეყოფათ და ამიტომ ისე არ ქუცმაცდებიან, როგორც იმერეთის სხვა კუთხეებში, რის გამოც ოჯახში ბევრი სული იყრის თავს. ზოგიერთ ოჯახში 30—40 სულამდე იქნებიან ორივე სქესის. ამათგან კაცები ზოგნი ხვნენ, ზოგნი თესვენ და ფარცხვენ და ზოგნი სხვა საოჯახო საქმეებს აკეთებენ; ზოგნი კი, როგორც თავის ადგილზე ვიტყვით, მიდიან სხვა-და-სხვა ადგილებში სამუშაოდ და თავისი ოფლით ნაშოვარი გროში შეაქვთ სახლში და ოჯახის სხვადასხვა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. ამნაირად ყველა ჰარმონიულად მოქმედებს და ოჯახიც მეტი ბარაქიანი ხდება. ქალები კი აკეთებენ საჩოხე და საპაიტე შალებს, ნაბდის ქუდებს და სხვა ხელსაქნარს. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ მგონი არც ერთ საქართველოს კუთხეში არ იქნებიან ქალები ისეთ ცუდ მდგომარეობაში, როგორც სვანეთში. სხვა-და-სხვა საოჯახო საქმეებს გაკეთების შემდეგ ქალები უნდა ამოუდგნენ მამაკაცებს ველზე ხვნა-თესვის, ფარცხვის და მოსავლის მოწევის დროსაც-კი. ხშირად ქმრების შინ არ ყოფნის დროს მთელი ოჯახი მათ კისერზე არის და იმდენი უნდა იშრომონ, რომ უმამაკაცობა არ დააჩინონ ოჯახს. აგრეთვე საუცხოოდ არის დაცული სვანებში უმცროს-უმფროსობა —უფროსისადმი პატივისცემა. ოჯახს განაგებს ყოველთვის უხნიერესი, რომელსაც „ბაბა“-ს ან „მახვშის“ (ბატონს) ეძახიან. უპირატესობა ყოველ საშინაო-საგარეო საქმეებში, უფროსობა, მას ეკუთვნის. ის არის პასუხის მიმცემი და მიმღები და მის დაუკითხავად ან მის წინააღმდეგ ოჯახში არაფერს არ იზმენ ხოლმე.

ამ ზემოხსენებულთ გარდა, ხალხის დამახასიათებელ თვისებებს შეადგენს სამშობლო კუთხის და იარაღის სიყვარული. თუ რამდენად უყვარს სვანებს თავისი მხარე ეს სხვათა შორის იმიდგანიც სჩანს, რომ ისინი, რაც უნდა შორს იყვნენ და დიდი ხნის დასახლებულნი სხვა მხარეში, თავის სამშობლო კუთხესთან კავშირს მაინც არ სწყვეტენ ხოლმე. როგორ შეიძლება ყოველმა მათგანმა წელიწადში თუ არა, ორ წელიწადში მაინც ერთხელ, რომ არ მოვიდნენ სვანეთში და არ მოინახულონ თავიანთი მტერ-მოყვარე.

ამას გარდა არასფრის დიდებისთვის არ შეიძლება, რომ სვანებმა, თავიანთი მიცვალებულები სხვა მხარეში გარდაცვლილნი, იქ დამარხონ და დასტოვონ ხოლმე. ხშირად მოხდება, რომ რომელიმე მათგანი სადმე შორს გარდაიცვლება; მაშინ, თუ საკმაო რიცხვი კაცებისა არ არის წამოსასვენებლად, მიცვალებულს ხორცს შემოაჭრიან დანით და ძვლებს მაინც მოასვენებენ სვანეთში. თუ იმ ადგილის მთავრობამ, სადაც მიცვალებული გარდაიცვალა, ეს უკანასკნელი არ გამოატანა ჭირისუფალს და იქვე დაუმარხია, მაშინ სვანები არაფერს ხიფათს არ ერიდებიან, იპარვენ მიცვალებულს და რამოდენიმე ასი ვერსის სიშორიდგან მოასვენებენ თავიანთ ქვეყანაში.

აგრეთვე სვანებს ძალიან უყვართ იარაღი. ხშირად შეხვდებით სვანს ფეხშიშველს, პერანგისამარს, მაგრამ იარაღში ჩამჯდარს. ზურგზედ ჰკიდია ბერდანის სისტემის ან ძველებური კაჟიანი თოფი. წელზედ აქვს ხანჯალი და რევოლვერი; უიარაღოთ გარეთ არ გამოდის და თითქმის არც დაიძინებს. ესენი არიან მისი განუშორებელი ამხანაგები ჭირში და ლხინში.

ქალებს კი უყვართ ტანისამოსი წითელი ან ფერადი, ბეჭედები, სამაჯურები და «რაფრასტები», რომლითაც მთელი გულ-მკერდი გატყაპული აქვთ. ისინი (ქალ.) როგორც მთიელნი განირჩევიან სილამაზით, მოხდენილობით და კაცებზედ უფრო სისუფთავით. მაგრამ აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ აქაურ ქალებში ძლიერ არის გახშირებული მეშვიდე მცნების დარღვევა. ძალიან ძვირად შეხვდებით ევათაგანს, რომ თავისი ღირსება არ გაეთელოს და თავის სიწმინდე დაეცვას. მაგრამ ეს ზნეობრივი დაცემულება მათთვის თხოვა-გათხოვაში არასფერს დაბრკოლებას არ წარმოადგენს, რადგანაც აქაური კაცები უმეტესად ამისთანა ქალებს არ სწუნობენ ცოლად და მათ წარსულს მაინცდამაინც არაფერს ყურადღებას არ აქცევენ.

(შემდეგი იქნება)

სეგურ. კეკელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი რეფორმის მოლოდინი

უფლებრივ წეს-წყობილების დასამყარებლად აუცილებლად საჭიროა, რომ კანონმდებლობას თითონ ხალხი ან იმისაგან თავისუფლად არჩეულნი წარმომადგენელნი ანხორციელებდნენ. დღეს ხვალ რუსეთშიაც დაკანონდება ხალხის მონაწილეობა კანონმდებლობაში, დღეს-ხვალ რუსეთიც დააღწევს თავს საპოლიციო თვითნებობის რეჟიმს და ახალს სახელმწიფოებრივს ფორმებში დაიწყებს ცხოვრებას.

ამ დიად პოლიტიკურ რეფორმის მოლოდინში მთელი რუსეთი იმის განხილვაშია, თუ რა სახით და როგორ უნდა მოეწყოს ხალხის მონაწილეობა კანონმდებლობაში. ეს საკითხი თავის თავად მეტად ფართოა და იმისი პასუხი უნდა შეიცავდეს მთელის ძირითად კანონების შინაარსს. ამ ჟამად ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ამ საგნის მხოლოდ ერთს ფრიად მნიშვნელოვან მხარეზე, სახელდობრ საკანონმდებლო დაწესებულების მოწყობილებაზე.

დასავლეთ ევროპის ცხოვრებამ და მეცნიერებამ შეიმუშავა ორი სახის პარლამენტი, ერთ-პალატიანი და ორ-პალატიანი.

ორ-პალატიანი პარლამენტი შესდგება ორის, ერთი მეორისაგან დამოუკიდებელის კრებულისაგან. თითოეული კრებული ანუ თითოეული პალატა (დარბაზი) ცალკე მსჯელობს კანონპროექტების შესახებ. ცალკე აწარმოებს თავის მუშაობას. ზოგიერთს სახელმწიფოში იმ განზრახვით, რომ ერთის პალატის ზნეობრივი გავლენა მეორეზე მცირე იყოს, ძირითადი კანონი ითხოვს, რომ კანონ-პროექტები ორგანვე ერთსა და იმავე დროს განიხილებოდნენ. კანონის ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევა თითოეულ პალატის დადგენილებას, როდესაც მეორე პალატაც იმავე დასკვნაზე დაადგება, რომელზედაც პირველი გაჩერდა. ორ-პალატიან პარლამენტის ქვეყნებში კანონ-მდებლობითი უფლება არც ერთს პალატას ცალკე არ ეკუთვნის, ის ორთავე პალატის საერთო კუთვნილებას შეადგენს, მაგრამ ამ უფლების განხორციელება-კი თითოეულს პალატას მხოლოდ ცალკე შეუძლიან.

ერთ-პალატიან პარლამენტის მოქმედება თავისუფალია იმ რთულის ფორმალიზმისაგან, რომელიც აუცილებლად თან დასდევს ორ-პალატიანს პარლამენტს, მაგრამ ერთისა და მეორის სახის პარლამენტის ღირსება და ნაკლულევანება ამ მხრივ არ უნდა აიწონოს.

ისტორიულად ორ-პალატიან პარლამენტის ბუნება ამგვარია: პირველს, ეგრედ წოდებულ ზემო პალატას შეადგენენ იმ კლასის ან წოდების წარმომადგენელნი, რომელიც გაბატონებული იყო სახელმწიფოში უფლებრივ წეს-წყობილების დამყარებამდე, აბსოლიუტიზმის დროს; მეორე ანუ ქვემო პალატას შეადგენენ მთელის ხალხისაგან არჩეულნი წარმომადგენლები. ამიტომ ზემო პალატა ყველგან კონსერვატიულია და ქვემო პალატა უფრო პროგრესიული; ზემო პალატა წარსულის წარმომადგენელია და არსებულ წესწყობილებას ებღაუჭება, ქვემო პალატა-კი მომავლისკენ იცქირება და ახალის წესების დამყარებას ემსახურება.

ამგვარად, ორ-პალატიან პარლამენტის საფუძველს შეადგენს კოპრომისი, შეთანხმება ახალის მისწრაფებისა ძველს ფორმებთან.

განსხვავება ერთ და ორ-პალატიანს სისტემათა შორის განსაკუთრებით ნათლად გამოიხატება იმით, თუ როგორ ირჩევიან წევრები ერთისა და მეორისა. ჩვეულებრივ, ზემო პალატის წევრობა ან მემკვიდრეობითი უფლებაა, ან მეფის წყალობა ან არა პირდაპირის, ორ-კეცის ან სამ-კეცის არჩევნების შედეგი. ქვემო პალატის წევრი-კი ჩვეულებრივ ხალხისაგან პირდაპირის და საყოველთაო კენჭის ყრით არის არჩეული. სწორედ ამ სხვადასხვაობის გამო ქვემო პალატა ჩვეულებრივ გაცილებით უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ზემო პალატა, უფრო მჭიდრო კავშირი აქვს ხალხის საერთო ინტერესებთან, ვიდრე ზემო პალატას. ორ-პალატიანი პარლამენტი ერთ-პალატიანთან შედარებით მომასწავებელია დემოკრატიულ პრინციპის შეზღუდვისა და ხალხის მისწრაფებათა ალაგმვისა.

როგორც პეტერბურგიდან დეპეშით იტყობინებიან, რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულება შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის პროექტით ორის კრებულისაგან იქნება შედგენილი: სახელმწიფო საბჭოსა ⁄ სახელმწიფო რჩევისაგან. სახელმწიფო საბჭოს ზემო პალატის მნიშვნელობა ექნება, სახელმწიფო რჩევას — ქვემო პალატისა. ჯერ დანამდვილებით არ ვიცით, როგორ უნდა ჰხდებოდეს ამ პროექტით სახელმწვფო რჩევის წევრთა არჩევნები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელია, რომ რუსეთის ხალხის ეხლანდელი დემოკრატიული მისწრაფება არ გაამართლოს არჩევნების სისტემამ, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ეხლანდელ სახელმწიფო საბჭოს გადაქცევა საკანონმდებლო დაწესებულების ერთ-ერთ პალატად ისეთი საშუალებაა, რომელიც თანამედროვე დემოკრატიზმის ძირის გამომთხრელი იქნება.

ჩვენ არა გვგონია, აწინდელი განმათავისუფლებელი მოძრაობა შინაგან საქმეთა სამინისტროში შედგენილის პროექთით დამთავრდეს. პირიქით, ამ პროექტის გამოქვეყნება მხოლოდ ის პირველი ნაყოფი იქნება ხალხის მისწრაფებისა, რომელიც სიგნალად უნდა გადაიქცეს სხვადასხვა მიმართულების საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაციისთვის. უუკიკიდურესი დემოკრატიც და უუკიდურესი კონსერვატორიც მოუთმენლად ელის ამ პროექტის გამოქვეყნებას სწორედ იმიტომ, რომ მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი საზოგადოებრივ ძალთა ნორმალური დაყოფა პოლიტიკურ დასებად.[1])

მზრუნველის კომისიისაგან შედგენილი სახალხო სკოლის პროგრამა

I განყოფილება.*)

სამოსწავლო წლის მეორე ნახევარს უნდა დაიწყოს სწავლება რუსულ ენისა. ეს სწავლება უნდა სრულდებოდეს თვალსაჩინო მაგალითებისა და სამშობლო ენის დახმარებით. წლის გასვლამდე რუსულის ენის სწავლებას ყოველ-დღე უნდა დაეთმოს $^1/_2$—$^3/_4$ საათისა და შეასწავლონ ისევ ის, რაც ბავშვებს უკვე შეუთვისებიათ სამშობლო ენაზე, ე. ი. ბავშვებმა რუსულად უნდა შეისწავლონ სახელები მათ გარემო მყოფ საგნებისა და გაეცნონ იმ მასალას, რომელიც მოთავსებულია პირველ-დაწყებითს რუსულ სახელმძღვანელოში.

ამგვარად, მეორე განყოფილებაში გადასვლის დროს, ბავშმა უნდა იცოდეს: ა) წერა-კითხვა სამშობლო ენაზე, ბ) სამშობლო ენაზედვე დათვლა ასამდე და პირველ ორს ათეულზე დამყარებულ გამოცანების ახსნა-განმარტება, გ) მოთხრობა სამღვთო ისტორიის უმთავრესს მოვლენებისა, რამდენიმე საჭირო ლოცვა სამშობლო ენაზე, და დ) რუსულ ენაზე უფრო ხმარებული სიტყვები ჭ წინადადებანი.

II განყოფილება.

ქრისტიანი მოწაფეები, პირველ განყოფილებასთან შედარებით, სამღვთო სჯულს უფრო ვრცლად სწავლობენ და ითვისებენ კიდევ რამდენსამე ლოცვას. მუსულმან-მოწაფეებს კი ასწავლიან ისტორიას მაჰმადის პიროვნებისა, მის დევნისა და ისლამის გავრცელების შესახებ.

სამშობლო ენაზე ასწავლიან წერას, კითხვასა, სამშობლო ლიტერატურის ზოგიერთ ნაწარმოებთ ზეპირათა და თავის სიტყვებით გამოთქმას და წანაკითხის შედარებით მართლ-წერას.

რუსულ ენაზე—ასწავლიან: წერას, კითხვას და პირველ-დაწყებით რუსულ სახელმძღვანელოში მოთავსებულ ადვილად გასაგებ და უკვე ახსნილ-განმარტებულ მოთხრობათა ზეპირად თქმას. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოწაფეებს შეეძლოთ დასწავლილ მოთხრობათა გვარიანი მართლ-წერა.

ანკარიშიდან სამშობლო ენაზედ მოწაფეებმა უნდა იცოდნენ: ნუმერაცია და 100—1000 რიცხვამდე ართმეტიკული ოთხი მოქმედება, უნდა ესმოდეთ რას ნიშნავს: მიმატება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა, გამოკლებითი და გამრავლებითი შედარება რიცხვებისა. გამრავლება და გამოკლება 10-სა და 100-ჯერ, ცნობილ რუსულ საზომთა და საწონ ერთეულების ცოდნა ზეპირად და წერით. გამოანგარიშება კურსის მიხედვით გამოცანებისა, ცოდნა ნაწილაკებისა.

მესამე განყოფილებაში გადასვლის დროს მოწაფეებმა უნდა იცოდნენ: ა) სამშობლო ენაზე შესმენითად მოთხრობა სამღვთო ისტორიათა და რამდენიმე ლოცვა; ბ) თამამად კითხვა, მოთხრობა და წერა წაკითხულისა სამშობლო ენაზე; გ) წერა და კითხვა რუსულად და რუსულად წაკითხულის სამშობლო ენაზე გადმოთარგმნა—მოთხრობა, რამდენადაც შეიძლება, რუსულადაც, და დ) ათასამდე არა-რთულ არითმეტიკურ გამოცანათა ახსნა-გაკეთება.

---

[1]) ეს სტატია მანიფესტის გამოტემამდე არის დაბეჭდილი. რედ.

*) იხ. „მწყემსი“ № 13—14, 1905 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III განყოფილება.

სამღვთო სჯულიდან ქრისტეანთათვის სავალდებულოა ახსნა და განმარტება უმთავრესს ლოცვათა: სიმბოლო სარწმუნოებისა, ათის მცნებისა და ლოცვა უფლისა (მამაო ჩვენო); ამ ლოცვებისა და მათ უმთავრესს მუხლთა ზეპირად ცოდნა. მუსულმანთათვის საჭიროა ცოდნა: სარწმუნოების დოგმატთა, წესებისა და ყორანის კითხვა.

სამშობლო ენაზე უნდა იცოდნენ: გარკვეული და შეგნებული კითხვა, წანაკითხის მართლ-წერა, ზეპირად თქმა ზოგიერთა ლექსებისა, არაკებისა და სახელოვნო ნიმუშებისა. კითხვა იმგვარ მოთხრობათა, რომელთა მეოხებითაც გაეცნობიან სამშობლოისა და ქვეყნის გეოგრაფია-ისტორიას, წერილობითს გამოთქმას თავისის აზრებისა მოწაფეთაგან ცნობილ საგანთა და მოვლენათა.

რუსულის ენიდან უნდა იცოდნენ: კითხვა და წერა (ერთ ხაზზე) მოთხრობათა, რომლებიც უნდა ახსნან ხოლმე სამშობლოისა და რუსულ ენებზე, ზეპირად თქმა სახელოვნო ნიმუშებისა, სიტყვიერი და წერილობითი გამოთქმა კლასში წაკითხულ ძოთხრობათა კითხვების დახმარებით, ანუ უკითხვებოთ.

ანგარიშიდან (სამშობლო ენაზე) უნდა იცოდნენ ნუმერაცია და ოთხი მოქმედება ყოველგვარის რიცხვისა, მოქმედებათა შემოწმება (პროვერკა), მოქმედება რთულის სახელდებითი რიცხვებისა, ანგარიში უბრალო ნაწერებისა, სიტყვიერად და წერილობით ახსნა-განმარტება ამოცანისა. მოწაფეებმა უნდა იცოდნენ სახელები საკომერციო საზომავებისა.

მესამე წლის დასასრულს უნდა იცოდნენ: ა) საღმრთო სჯულიდან (დედა ენაზე) ლოცვები, კატეხიზმოს ჭეშმარიტებანი და აგრეთვე ლიტურგიის წესები; ბ) დედა-ენაზედვე უნდა იცოდნენ თავისუფალი წერა და კითხვა. უნდა შეეძლოთ თავის საკუთარ აზრის გამოთქმა ბავშვის გონებისთვის მისაწვდომ საგანთა და მოვლენის შესახებ; გ) რუსულს ენაზე კითხვა და წიგნიდან გადმოწერა; წანაკითხის შინაარსის გადმოცემა კი მოწაფეებს მოეთხოვებათ იმ ფარგალში, რაც სასწავლებელში შეუსწავლიათ; დ) ანგარიშიდან (დედა-ენაზე) აღსნა-განმარტება რთულია და სახელდებულ რიცხვებიან ამოცანებისა ოთხივე მოქმედებით, უნდა ესმოდეთ უბრალო ნაწერები.

როგორც ზემო აღნიშნულ პროგრამიდანა სჩანს, სკოლის სამ-კლასიანი კურსი საკმაო ცოდნას არ აძლევს ბავშვს, ნამეტნავად რუსულ ენაში. ამისთვის საჭიროა მიემატოს მეოთხე წელიწადიც.

მეოთხე წელიწადს სასურველია, რომ სწავლა ასე მოეწყოს:

სადმრთო სჯული (სამშობლო ენაზე). კითხვა და განმარტება სახარებისა და საეკკლესიო ისტორიიდან უმთავრეს მოვლენათა ცოდნა; მუსულმანთათვის კი გავლილის მეორება დამატებით და კითხვა ყორანისა.

დედა-ენა. სალიტერატურო ნიმუშების კითხვა და შესწავლა, სამშობლო ისტორიისა, გეოგრაფიისა და ბუნების-მეტყველების შესასწავლად სხვა-და-სხვა სტატიების კითხვა. წაკითხულის წერილობით გადმოცემა, წერილებისა და საქმის ბარათების შედგენა და აგრეთვე ადვილ თემებზე თხზულებათა წერა.

რუსული ენა. ბავშვთათვის შესაფერ მოთხრობების განმარტებითი კითხვა, წანაკითხის თავის სიტყვით გადმოცემა; მიცემულ კითხვებზე შეგნებულად გადმოცემა შინაარსისა და აგრედვე მათი წერილობითი გამოხატვა.

ანგარიში (დედა-ენაზე). განმეორება და გაერთიანება გავლილის მასალისა, რომლის დროსაც ყურადღება არითმეტიკულ ამოცანების სხვადასხვა მოქმედებით აღსნა-განმარტებას უნდა მიექცეს. გაკვეთილთა რიცხვი კომისიამ ასე გაანაწილა:

კანე. I: სამღრთო სჯული—3, დედა-ენა—8, რუსული ენა—7 (იანვრიდან), ანგარიში—6, სულ 24 გაკვეთილი.

კანე. II: სამღრთო სჯული—3, დედა-ენა—8, რუსული—8, ანგარიში—5, სულ 24 გაკ.

კანე. III: სამღრთო სჯული—3, დედა-ენა—8, რუსული—8, ანგარიში—5, სულ 24 გაკ.

კანე. IV: საღმრთო სჯული—3, დედა-ენა—8, რუსული—9, ანგარიში—4, სულ 24 გაკ.

ერთკლასიან სკოლის დანარჩენ კითხვათა შესახებ, კომისია შემდეგ აზრს დაადგა: 1) დედა-ენის სწავლება ჩაბარდეს პედაგოგიურად მომზადებულ კაცს; 2) ერთი და ივგივე კაცი მხოლოდ ორ განყოფილებაში ასწავლიდეს; 3) იმ სკოლებში, სადაც სწავლა ორ წელიწადს გრძელდება, უნდა იხელმძღ-

ვანელონ ოთხ-წლიან სკოლის ორის პირველ განყოფილების პროგრამით; 4) პირველ-დაწყებით სკოლებში, სადაც კი შესაძლებელია, უნდა ასწავლონ: გალობა საერო და უმთავრესად საეკლესიო; აგრეთვე სასურველია, ადგილობრივ პირობების მიხედვით მოწაფეებს პრაკტიკულად შეასწავლონ ესა თუ ის დარგი მეურნეობისა; 5) სასურველია, რომ მასწავლებლებმა მოწაფეები სასეირნოდ წაიყვანონ ხოლმე ფიზიკურ ვარჯიშობისთვის და აგრედვე ბუნებისა, სამშობლოისა და სხვათა შესასწავლად; 6) საჭიროა, რომ ბავშვები წიგნაკების კითხვას მიეჩვივნენ რუსულსა და სამშობლო ენაზე, რისთვისაც სკოლებთან საბავშო ბიბლიოთეკები უნდა დაარსდეს.

ერობის პროექტის შესამუშავებლად წარმომადგენლების არჩევა*)

1. საერობო დაწესებულებათა პროექტის შესამუშავებლად ყოველ გუბერნიაში (ან ოლქში) უნდა შესდგეს ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლებისაგან სამაზრო და საგუბერნიო (ან საოლქო) საბჭოები; ზაქათალისა და სოხუმის მაზრებში მხოლოდ სამაზრო საბჭოები.

როცა გამოიარკვევა დრო და ადგილი ამ საბჭოების შეკრებისა, გუბერნატორი განკარგულებას მოახდენს მათ მოწვევის შესახებ.

2. სამაზრო საბჭო შესდგება წარმომადგენლებისაგან, რომელნიც აირჩევიან: ა) კერძო მემამულეთაგან, რომელნიც სოფლის საზოგადოებას არ ეკუთვნიან; სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებისაგან და იმ გლეხ-მესაკუთრეთაგან, რომელთაც ნადელს გარეშე აქვთ კიდევ მაზრაში მამული; ბ) ქალაქთაგან და გ) სოფლის საზოგადოებათაგან. ამ საბჭოებში მონაწილეობას იღებენ წევრის უფლებით გადასახადთა ინსპექტორები, მიწათმოქმედებისა და საუფლისწულო უწყების წარმომადგენელნი და მომრიგებელი შუამავალნი.

3. პირველ ჯგუფის (?) წარმომადგენლების ასარჩევად შესდგება წინ და წინი და ორი ამომრჩეველი კრება.

4. ამ კრებაში მონაწილეობის მიღების ნება აქვთ: 1) ყველა მემამულეთ სახაზინო პალატის სიით; 2) ქალაქს გარეშე უძრავ მამულების პატრონთ, რომელთა ხსენებული მამული დაფასებულია არა ნაკლებ 15 ათასი მანეთისა (ბაღებისა, წისქვილებისა, აბრეშუმის ქარხნებისა და სხვა) და 3) იმ ვაჭართა და მრეწველთა, რომელთაც 1905 წელს აიღეს სავაჭრო ან სამრეწველო მოწმობა: სავაჭრო —1-ლისა და მე-2 რიგის, სამრეწველო 2-ლის, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 რიგების. ვინც კრებას ვერ დაესწრება, სხვას ხმას ვერ გადასცემს.

შენიშვნა ა) ჩერნომ. გუბერნიასა, სოხუმის ოლქსა და ბათუმის ოლქში კერძო მემამულეთა კრებაზე ისინიც მიიღეაენ მონაწილეობას, ვისაც ეკუთვნის ეგრედ წოდებული საკულტურო მიწები და საადგილაკო ადგილები. ბ) ბათუმისა და ყარსის ოლქში კრებებში ისინიც იღებენ მონაწილეობას, ვინც საიჯარო გადასახადს იხდის მიწაში.

გ) ის მემამულენი, რომელთაც სხვა და სხვა მაზრაში აქვთ მამული, იქ მიიღებენ მონაწილეობას, სადაც მოისურვებენ; ხოლო თუ შესაძლებელი იქნა, ყველა მაზრაში, სადაც მამული აქვთ.

5. საარჩევნო კრებაში მონაწილეობის მისაღებ-მემამულეები მოწვეულ იქნებიან იმ საშუალებით, რომლითაც შეიძლება საქმის დაჩქარება. იმ ადგილებში, სადაც თავად-აზნაურთა დაწესებულებაა, მემამულეთ მოიწვევენ თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, სადაც ასეთი დაწესებულება არ არის—მაზრის უფროსნი.

6. წინდაწინმა კრებამ თავდაპირველად უნდა განიხილოს სახაზინო პალატის მიერ შედგენილი სია, რომლის შევსებაც და შესწორებაც შეიძლება წარმოდგენილ საბუთების თანახმად ან განცხადებით, რომელიც მეზობლებისაგან იქნება შემოღებული. ამ სიებში, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, უნდა აღინიშნოს რა სწავლა მიუღია მემამულეს—მეპატრონეს და იცის თუ არა რუსული ენა.

ხსენებულ სიების გარჩევასა და კრებებზე მონაწილე პირთა აღნიშვნის შემდეგ, კრება ორ ნაწილად იყოფება: ა) იმ მემამულეებზე, რომელთაც ერთ მაზრაში 72 დესეტინაზე მეტი აქვთ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში და 100 დესეტინაზე მეტ

---

*) დამტკიცებულია 3 აგვისტოს ნამესტნიკის გრ. ვორონცოვ-დაშკოვისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განჯის, ერევნის და ბაქოს გუბერნიებში და ბ) იმ მემამულეებზე, რომელთაც 72 დესეტინაზე ნაკლები აქვთ (ქუთ. და ტფ. გუბ.) ან 100 დესეტინაზე ნაკლები (განჯის, ერევნის და ბაქოს გუბერნ.).

შენიშვნა: ჩერნომ. გუბ., აგრეთვე ბათუმის ყარსის, დაღესტნის, ზაქათალის და სოხუმის ოლქებში ასეთი დაყოფა კრებისა არ მოხდება.

7. როდესაც კრება ნაწილებად დაიყოფა, უნდა შესდგეს ორი საარჩევნო კრება (მსხვილისა და წვრილი მემამულეებისა), რომელნიც დაუყოვნებლივ შეუდგებიან იმდენის წარმომადგენლის არჩევას, რამდენიც აღნიშნულია მემამულეთა თითოეულ ნაწილისთვის ცალკე განსაკუთრებითს ნუსხაში, რომელიც დართული აქვს ამ ინსტრუქციას.

შენიშვნა: თუ საარჩევნო კრებაზე რაიმე მიზეზის გამო მხოლოდ იმდენი ამომრჩეველი და ან იმაზე ნაკლები გამოცხადდა, რამდენი წარმომადგენელიც არჩეულ უნდა იქმნას საბჭოსთვის, ამ შემთხვევაში ყველა კრებაზე გამოცხადებული პირი ჩაითვლება არჩეულად სამაზრო საბჭოს წარმომადგენლად.

8. იმ ქალაქების მხრივ, რომლებშიაც შემოღებულია საქალაქო დებულება, წარმომადგენლებს აირჩევს ქალაქის საბჭო ან რწმუნებულთა კრება; იმ ქალაქებსა და დაბებში*), სადაც, თუმცა საქალაქო დებულება არ არის შემოღებული, მაგრამ მაინც დაწესებულია საერობო გადასახადები ქალაქის უძრავ ქონებაზე, საბჭოს წარმომადგენლებს ირჩევენ ყველა სახლის პატრონები და აგრეთვე ის პატრონები სავაჭრო და სამრეწველო საქმისა, რომელთაც აღებული აქვთ სავაჭრო და საწარმოო მოწმობანი პირველის სამის რიგისა და სამრეწველო პირველის ექვსისა.

წარმომადგენლების არჩევის შესახებ დადგენილებანი საქალაქო საბჭოებისა ან რწმუნებულთა კრებებისა დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს სათანადო მაზრის უფროსს.

შენიშვნა: თუ საბჭოს ან რწმუნებულთა კრების სხდომა არ შესდგა, მაშინ ქალაქის მცხოვრებთა წარმომადგენლებად სამაზრო კრებებში იქნებიან ქალაქის მამასახლისი და გამგეობის წევრნი.



ალექსი ბერს

(მისი წერილის პასუხად.)

მამავ! მივიღე თქვენი შაირი,
ესოდენ სათნო და სასურველი,
რომელიც ოხვრა და გოდების ჟამს
არს უებარი სნეულთ მკურნალი.

—

სურვა ზეგარდმო მადლით ცხებული
ლოცვით მოძღვნილი თქვენმიერ წმინდა,
ცოდვილის ჟამის გულის მეოხი,
ჩემდა ნუგეშად დღეს მომივლინდა!

—

დღეს ბნელსა შარათ სვლის მიმდინარებს
ვის არ სჭირია მადლი-მოძღვრება?
ოდეს უკუნმა სძლია ნათელი,
და მის სხივები თან-და-თან ჰქრება!

—

ამ დროს თქვენმა ხმამ მადლით აღვსილმა,
მინათლ სპეტაკა გონება-გული,
რა ვნახე ბრძნული სიტყვები თქმული,
ზე აღმამფრენი, ცად მიზიდული.

—

კურთხეულ ბაგით აქებთ ჩემ ნაწერს,
რომ გულწრფელობით არსო წართქმული,
და იმით გიყრდნობს ჩემდამი პატივს
ჩემ სუსტ კალამის გამოსახული.

—

გმადლობთ მამაო, რომ მომიძღვენით
ლოცვა-კურთხევა მამობრიული;
ნება მიბოძეთ წმიდა მარჯვენას
დაგაყრდნო ბაგე და გრძნობით გული.

—

და ეს უღირსი მონა მოწაფე
თქვენისვე მადლით აღფრთოვნებული,—
ღმერთსა სთხოვს გექმნესთ სიმხნე-სიმრთელე,
ჩვენს დასაცველად მოვლინებული.

—

რომ თქვენს მაგალითს მიმბაძველები
ბევრი ეყოლოს შემეცნებული;
შენ განგვიახლო, შენით მოგვმადლნეს
ძველი ივერთა წმიდა „კრებული“!..

თ. როსტომ—გუძა ჩიქოვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ-გაზეთებიდან.

იაპონიის ჯარის მოქმედება პრიმორის ოლქსა და ჩრდილოეთ კორეაში. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. დაწვრილებით ასწერს იაპონელების მოქმედებას პრიმორის ოლქსა და ჩრდილოეთ კორეაში: «სახალინის სამხედრო გუბერნატორის გენ. ლიაპუნოვის დატყვევების შემდეგ. პატარ-პატარა რაზმების წინააღმდეგობას, რასაკვირველია, აზრი აღარ აქვს, მით უმეტეს, რომ იაპონელები ამ რაზმებს ჯარად არ-კი სთვლიან და უბრალო მეამბოხებად აგდებენ. რაკი სახალინის დაპყრობა გათავდა, იაპონიის მერვე, ანუ სახალინის არმიის უფროსმა გენ. ხარაგუჩიმ, ეტყობა, გადაწყვიტა უფრო გაბედულად შეუდგეს პრიმორის ოლქის ნაპირების დაჭერას ვლადივოსტოკსა და ამურის შესართავს შუა. მართალია იაპონელებმა 11 ივლისს დაჭერილი დეკასტრის პოსტი 23 ივლისს ისევ დასცალეს, მაგრამ ივლისის გასულს, ეტყობა, ისევ დაიჭირეს და იქ ეხლა უფრო მეტი ჯარი გადაიყვანეს. 26 ივლისს იაპონელებმა დაუბრკოლებლივ გადაიყვანეს ჯარი პრიმორის ოლქის ნაპირას იმპერატორის ნავთ-სადგურში, იმპერატორ ნიკოლოზის კონცხთან, 250 ვერსტზე დე-კასტრის პოსტიდან სამხრეთით და კონსტანტინეს პოსტი დაიჭირეს; იქ მდგომმა რუსის რაზმმა პოსტი დასცალა და უკან დაიხია. იმპერატორის ნავთ-სადგური მშვენიერ პორტს წარმოადგენს, მშვენიერადაა დაცული ქარისაგან, ნაპირებთან 30 ფუტამდე სიღრმე აქვს და მხოლოდ 4 თვეს იყინება. ყირიმის ომის დროს აქ ფრეგატი „პალადა“ (რომელზედაც მწერალი გონჩაროვი მოგზაურობდა) თავის კამანდისაგანვე იყო ჩაძირული. იმპერატორის ნავთ-სადგურის დაჭერას არა აქვს ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც დეკასტრის ბუხტის დაჭერას: იმპერატორის ნავთ-სადგურის ნაპირას გადაყვანილი ჯარი ვერ იმოქმედებს ხმელეთზე, რადგან იქაური მხარე სრულიად უდაბური და უგზოა; იქ დიდ მანძილზე მარტო ოროჩები (ადგილობრივი ხალხი) დაწრწიან პრიმორის ოლქის ნაპირას ამ ჟამად გენ. ხარაგუჩის ჯარს ეტყობა, სამი ადგილი უჭირავს: დე-კასტრის ყურე—ჩრდილოეთში, იმპერატორის ნავთ-სადგური—შუაზე და წმინდა ოლგას ბუხტა—სამხრეთში.

ჩინეთის და იაპონიის კავშირი. ევროპიელი და ამერიკელი დიპლომატები აცხადებენ: დანამდვილებით გავიგეთ, რომ იაპონიამ და ჩინეთმა საკავშირო ხელშეკრულობა დასდეს. ოფიციალურად ამ კავშირს შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დამყარების შებდეგ გამოაცხადებენ. ჩინეთი აუარებელ კონცესიებს აძლევს იაპონიას. სამაგიეროდ იაპონია ჩინეთს კონსტიტუციის შემოღებაში დაეხმარება და რამდენსამე მილიონ სალდათს გაუწვრთნის. მიზანი ამ კავშირისა ის არის, რომ იაპონიამ და ჩინეთმა, ადრე იქნება თუ გვიან, მთელი აზია უნდა გაანთავისუფლონ პოლიტიკურად და ეკონომიურად ევროპისაგან, განაახლონ ძველი კულტურა და ამ მხრით ევროპის ადგილი დაიჭირონ მთელ ქვეყანაზე. დიპლომატების აზრით, ოციოდე წლის შემდეგ იაპონიასა და ჩინეთს ისეთი მძლავრი და უძლეველი მხედრობა და ფლოტი ეყოლებათ, რომ მთელი ევროპა ვერ გაუმკლავდება „ყვითელ კანიან მაიმუნებს“, იმ მაიმუნებს, რომელთაც ვაფანგოუსა, ლიაოდუნსა, ტიურენჩენსა, შახესა, მუკდენსა, პორტ-არტურსა და ცუსიმასთან გენიოს ოიამასი, კურაკისა, ოკუსი, ნოძუსი, ნოგისა, კავამურასი და ტოგოს დახმარებით «მაიმუნთა» დროშა ააფრიალეს და ცხადად დაამტკიცეს, რომ ცივილიზაცია, კულტურა, მეცნიერება და განათლება მომავალში ევროპიდან აზიაში გადავა და ამმავალ მზის ქვეყანაში დამკვიდრდება (რ. ს.).

*
* *

ზავი იაპონელებთან. როდესაც ზავის შესახებ მოლაპარაკება დაიწყეს რუსებმა და იაპონელებმა, ზოგიერთმა რუსულმა გაზეთებმა ყვირილი მორთო:

„ერთ გოჯ ადგილსაც ნუ დაუთმობთო, ერთ გროშ ფულს ნუ გავიღებთო, ამის მიცემას ჩვენი გაწყვეტა გვირჩევნია!...

ამას ამბობდენ ისინი, ვინც ომის დაწყების დროს, თამამად გაიძახოდა.

„ტოკიოსკენ გადავკარგოთ იაპონელები, სეირი ვანახოთ მათ, დამარცხებულ იაპონელებს ტოკიოში მოვაწერინოთ ხელი ზავის პირობებზეო“.

ეს გაზეთები ორივეჯერ შემცდარი გამოდგნენ, —გამარჯვების მაგიერად რუსების ჯარი სამაგალითოდ დამარცხდა, ახლაც ზავის პირობის ძალით, იაპონელებმა რუსებისაგან ფულიც და ადგილიც საკმაოდ მიიღეს.

მართალია, ტელეგრამების ორივე სააგენტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდის ამბით აუწყებდა მთელ კაცობრიობას,—ვიტ-ტემ გაიმარჯვაო, იაპონელებს ზავით არაფერი არ ერგებათო, მაგრამ ახლა, როდესაც დეპეშამ დაწვ-რილებით შეგვატყობინა ზავის პირობები, ყველასა-თვის ცხადია, რომ „ზოგიერთი რამ“ მაინც წაიღეს იაპონელებმა.

მთელი ლიაუდუნის ნახევარ-კუნძული ტ პორტ-არტური იაპონელების ხელში გადადის.

ნახევარი სახალინი იაპონელების შეიქმნა.

ფულად 150,000,000 მანათი.

მანჯურიაში რკინის გზის დიდი ნაწილი.

თევზაობის უფლება ზღვის პირას და სხვა-და-სხვა.

ეს, ზოგიერთების სიტყვით, „არაფერია“! ლია-ოდუნის ნახევარ-კუნძული და პორტ-არტური,—ეს შეიქმნა ომიანობის პირველი მიზეზი.

როდესაც იაპონელები ჩინეთთან ომიანობდნენ, პორტ-არტური აიღეს, მაგრამ რუსები ამის წინა-აღმდეგი შეიქმნენ და გამოაცხადეს,—პორტ-არტუ-რი ჩინეთის საკუთრებად უნდა დარჩესო, შემდეგ კი, როდესაც იაპონელებმა მართლაც დაუბრუნეს დაჭერილი ადგილები ჩინეთს, რუსეთმა, მთელი ლიაოდუნის ნახევარკუნძული ჩინეთისაგან იჯარით აიღეს, იქ ციხე-სიმაგრეები ააგო, რკინის გზა გაი-ყვანა და საზოგადოდ ფეხი მოიმაგრა იმ ადგილებ-ში, პორტ-არტური ისეთი სტრატეგიული პუნქტია, რომლის მნიშვნელობას ყველა აფასებდა იმ დროს, როდესაც იგი რუსების ხელში იყო და ეკვი არ უნდა—ამ ადგილის თავისი სტრატეგიული მნიშვნე-ლობა არც ეხლა დაეკარგება.

ნახევარ სახალინის დაჭერით, ლიაოდუნზე გა-ბატონებით იაპონია აზიის აღმოსავლეთ ნაპირების ნამდვილი ბატონი შეიქმნა, ისეთი ბატონი, რომელ-საც ახლა იქ ვერავინ ვერ გაუმკლავდება.

დიდის ამბით გამოაცხადეს, იაპონიამ აღარ მოითხოვა, რომ რუსებმა შეამცირონ თავიანთი სამხედრო ძალები შორეულ აღმოსავლეთშიო და ის კი არ უთქვამთ, რომ სამხედრო გემებისთვის რუსეთს იქ შესაფერი ნავთსადგური არ შერჩენიათ, რომ თვით ვლადივასტოკიდან ზღვაში გასვლა იაპ-ონელების სურვილის წინააღმდეგ არც ერთ გემს არ შეეძლება, რადგანაც ყველა სრუტე იაპონელე-ბის ხელშია. ხმელეთზე კი დიდ ძალი ჯარის შეგ-როვება და აქ დატოვება ფულის მხრივ საძნელო არის და უნაყოფოც, რადგანაც კუნძულებზე მყოფ იაპონიის დამარცხება ხმელეთზე არ შეიძლება. რუ-სეთს ზღვისაკენ გზა გადაჭრილი აქვს, ამ გზის გასა-ღები იაპონელებს გადაეცა. ამით მოისპო რუსების გავლენაც შორეულ აღმოსავლეთსა და ჩინეთშიაც.

იაპონელებმა ამ ზავით მიაღწიეს საწადელს,—რუსები, როგორც მოქიშპე, ჩამოიშორეს.

რა მოიგეს კიდევ ამ ზავით იაპონელებმა?

გავლენა აღმოსავლეთ აზიაში, ახალი გემები, რომელიც მათ ტყვედ წაიყვანეს, ან ხელში ჩაიგდეს პორტ-არტურში.

იაპონიამ, როგორც ხმა დადის, ჩინეთიდან დიდძალი ფული უნდა მიიღოს მანჯურიის დაბრუ-ნებაში, და საკვირველია,—სწორედ იმდენი, რამ-დენსაც სთხოვდა რუსეთს კონტრიბუციად...

იაპონიამ ხმელეთზე გადმოდგა ფეხი... წინად კუნძულებზე თუ იყო, ახლა ხმელეთზედაც აქვს თავისი სამფლობელო და ეს ხომ მისი პირველი ბიჯია, აქ მას მეზობლად რუსეთი ჰყავს, ან უკედ რომ ვთქვათ, რუსეთის ის ნაწილი, რომელიც იაპ-ონელების მონათესავე ხალხებით არის დასახლებუ-ლი.

ვის შეუძლიან თქვას, რუსეთმა ამ ზავით არა-ფერი არ დაუთმო იაპონელებსაო?... (ივ.)

ახალი ამბები და შენიშვნები.

კავკასიაში მის უდიდებულესობის ნამესტნიკის ბრძანებანი

I.

3 აგვისტო, 1905 წ. მივეგზავრები-რა ამა დღეს ჩრთილოეთ კავკასიაში, წინადადებას ვაძლევ ჩემს თანაშემწეებს—სამოქალაქო, სამხედრო და სა-პოლიციო ნაწილების მმართველთ—სანამ ტფილი-სის გარედ ვიქნები, შეუდგნენ დამოუკიდებლად მართვა-გამგეობის საქმის აღსრულებას, მაგრამ იმ პირობით, რომ მთავარი ხელმძღვანელობა მე მრჩება; განსაკუთრებულსა და საჩქარო შემთხვევაში, აგრე-თვე თუ საქმე რამდენსამე უწყებას შეეხება, ვურჩევ ჩემს თანაშემწეებს გამართონ თათბირი უფროს თანა-შემწის თავმჯდომარეობით. სამოქალაქო უწყების სხვადასხვა დაწესებულებათა უფროსნი თავიანთ მოხ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სენებებს წარუდგენენ ხოლმე ჩემს თანაშემწეს ტ. ს. სულთან-კრიმ-გირეის.

II.

თუ კავკასიაში პოლიციის გამგე ტფილისიდან წასული იქნება, წინადადებას ვაძლევ იმის კანცელარიის მმართველის თანამდებობის აღმასრულებელს გუროვიჩს ურთიერთობა იქონიოს პოლიციის გამგის საქმეების გამო ყველა სათანადო დაწესებულებთანა და პირებთან და აწარმოვოს ყველა საქმეები გენ.-მაიორის შირიკინის დარიგება-რჩევის თანახმად.

III.

უმაღლესის ბრძანებით ჩემთვის მონიჭებულის უფლების თანახმად ამიერიდან ვსპობ სამხედრო წესებს ქალაქ ქუთაისს, ფოთსა და ქუთაისის გუბერნიაში, რომელიც შემოღებული იყო მინისტრთა კომიტეტის უმაღლესად დამტკიცებულ დადგენილებათა თანახმად 21 თებერვალსა და 9 მარტს.

ამიტომ ვანთავისუფლებ გენ.-ლეიტენანტს თ. ჯამბაკურიან-ორბელიანს ქუთაისის, ფოთის და ქუთაისის გუბერნიის, ბათუმის და კინტრიშის ნაწილის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღსრულებისაგან და წინადადებას ვაძლევ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს გენ.-მაიორს ფონ პარკაუს ეხლავე შეუდგეს ბათუმის ქალაქისა და კინტრიშის ნაწილს გენ.-გუბერნატორის თანამდებობის აღსრულებას იმ უფლებით, რომელიც აღნიშნულია სამხედრო წესდებულ. მე-19 მუხლში. ამასთანავე გენ. მაიორის ფონ-პარკაუს გამგებლობას ექვემდებარებიან ყველა ის ჯარები, რომელნიც გაიგზავნებიან ბათუმსა და კინტრიშის ნაწილში და ისინიც, რომელნიც ამ ჟამად დგანან ხსენებულს რაიონში.

კავკასიაში მის უდიდებულესობის ნამესტნიკი

გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

** როგორც მთავარ შტაბის ცნობებიდან სჩანს, წელს სამხედრო სამსახურში მთელ რუსეთში მიიღებენ 375,346 კაცს. ტფილისის გუბერნიიდან მიიღებენ 3,402 კაცს, ქუთაისისა — 3,611, ერევნისა 2,720, განჯისა—1,764, ბაქოს—440, ბათუმის ოლქიდან—43 და ყარსის ოლქიდან — 546, სულ ამიერ კავკასიიდან—12,189 კაცს.

** როგორც ალექსანდროპოლიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში რკინის გზით ეგზავნილს საოჯახო ავეჯში აღმოაჩინეს ათას რვასი სასროლი ტყვია.

** ნამესტნიკმა ნება დართო საცენზურო კომიტეტს ხელ-ახლა გადაათვალიეროს კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულება ქართულ ენაზე ყორნის გადმოთარგმნის შესახებ.

** ნამესტნიკმა ნება დართო ნაფიც ვექილის თანაშემწეს ლ. ლ. ბახტაძეს, გამოსცეს ტფილისში ყოველ დღიური გაზეთი ქართულ ენაზე—„ახალი დროება“.

** გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ნამყოფი დიმიტრი ტაშკენტის ეპისკოპოსად დაუნიშნავთ.

** 4 აგვისტოს, ექსარხოსის თავმჯდომარეობით, მოხდა სხდომა სასინოდო კანტორისა. ექსარხოსმა, სხვათა შორის, მოისმინა განცხადებანი საექსარხოსოს ბლაღოჩინ-მღვდლებისა რომელთაც სასულიერო მთავრობასთან კავშირი შესწყვიტეს და თავიანთ თანამდებობაზე ხელი აიღეს. საბჭო ვერავითარ გამორკვეულს გადაწყვეტილებას ვერ დაადგა.

** კავკასიის ნამესტნიკს, როგორც „თფ. ლი.“ გადმოგვცემს, უბრძანებია გენ. თავ. ამილახვარისათვის გააუქმოს გორის მაზრაში დაარსებული თავადაზნაურთა მილიცია.

** ტფილისის მაზრის წინწყაროს სოფლის საზოგადოებას ამას წინად ყრილობა მოუხდენია საჭირ-ბოროტო საქმეების გამოსარკვევად. სხვათა შორის, ამ ყრილობაზე საზოგადოებას განუხილავს სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის მოკრებილი ფულის ანგარიში. აღმოუჩენიათ სოფლის მოხელეთა ბოროტ მოქმედება და საზოგადო ფულის გაფლანგვა. საზოგადოებას დაუდგენია განაჩენი და ეხლა შუამდგომლობს საგუბერნიო მთავრობის წინაშე, რომ ბოროტ-მოქმედების ჩამდენნი უსათუოდ სამართალში იქმნენ მიცემულნი.

** **დ. ჭიათურა.** 30 ივლისს, დილით, შავი ქვის მწარმოებელს პერსენაკს ხუთი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა და წაართვა 10,000 მ. ეს ამბავი მსწრაფლ გავრცელდა ხალხში. აუარებელი მუშა მოედო არე-მარეს ყაჩაღების დასაჭერად. ერთი ყაჩაღი დასჭრეს რევოლვერით, სამი დაიჭირეს; ხოლო ერთმა გაქცევა მოასწრო. ყაჩაღების დაჭერაში ადგილობრივ პოლიციასაც უნდოდა მონაწილეობა მიეღო, მაგრამ, როგორც-კი გამოცხადდა ბოქაული დარაჯებით, მაშინვე ხალხმა უკან გააბრუნა. შეპყრობილი ყაჩაღები ხალხმა თავის დარაჯს ჩაბარა და მეორე დღეს საქმის გარჩევას შეუდგა. ფული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად იპოვნეს და გაატანეს კუთვნილებისამებრ გარდასაცემად, მაგრამ, დახე ბედს,—ორი ხუთასიანი გაჰქრა გზაში. დანაშაულთა გასამართლებას რამდენიმე ათასი კაცი ესწრებოდა. საქმის გამორკვევის შემდეგ ხალხს უნდოდა სასჯელი გამოეცხადებინა ყაჩაღებისთვის. მაგრამ ამათ გაპარვა მოასწრეს. ამ ამბავმა ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. (ივ.)

*** იმერეთის ეპარქიალური ქალების სასწავლებელის საბჭო აცხადებს, რომ ეკზამენები დაიწყება 16 აგვისტოდან და გაგრძელდება 6 სექტემბრამდე. მისაღები გამოცდა მოხდება 5 და 6 სექდემბერს. ერის კაცის შვილები და სხვა ეპარქიებისა არ მიიღებიან სანამ სწავლის უფლებისათვის ხვედრ ფულს არ წარმოადგენენ.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ სინოდალნი კანტორაში აღუძრავთ კითხვა ბლაღოჩინების კენჭის ყრით არჩევაზე. სწორეთ დრო არის. გლეხებში შემოიღეს კენჭის ყრა, მაგრამ სამღვდელოებას კიდევ არა აქვს ნდობა სასულიერო მთავრობისაგან!..

*** ხმებია, რომ რუსეთის მთელი სასულიერო წოდება რამდენიმე სამიტროპოლიტოდ განიყოფა და თვითეულ ოლქს ავტონომიური მართვა-გამგეობა მიენიჭება. თუ ეს ხმა გამართლდა იმედია საქართველოს ეკლესია ერთ ოლქად იქნება აღიარებული.

*** კავკასიის სამოსწავლო საოლქო მზრუნველმა შეატყობინა საქალაქო და პირველ დაწყებითი სკოლების უფროსთ, რომ 1881 წლის დებულება ადგილობრივ ენების სწავლების შესახებ ისევ ძალაში რჩება და მტკიცედ უნდა იყოს ასრულებულიო.

*** «ივერია»-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ, ამჟამად უწმ. სინოდში ირჩევა საკითხი ივერიის ეკკლესიის ავტოკეფალიის შესახებო.

*** გურია-სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტაციამ, სხვათა შორის, ექსარხოსს შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინა: მიენიჭოს ქართულს ეკკლესიას დამოუკიდებლობა, არსებულ სკოლების ტიპი შეიცვალოს, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ნარბეგოვი დათხოვნილ იქმნას, ეგრეთვე დათხოვნილ იქმნას გურია-სამეგრელოს კონსისტორიის მართველი ავტონომოვი და სხვ. (ივ.).

*** თანახმად სინოდის მოწერილობისა, ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობას მწჯელობა ჰქონდა სემინარიიდან დათხოვნილ მოწაფეთა მიღების შესახებ. გამგეობის უმრავლესობას, 4 კაცს, მხოლოდ იმ მოწაფეთა მიღება უნდოდა, რომლებიც, მათის აზრით, კეთილ საიმედონი არიან. გამგეობის სამი წევრი კი, სახელდობრ: მღ. კ. ცინცაძე, მასწავლებელი ი. ფერაძე და ალ. ხმელევსკი, თხოულობდნენ: ყველა შეგირდები უკლებლივ—არეულობის მეთაურნიც კი—დააბრუნეთო, და ეს მოთხოვნა ჟურნალშიაც შეიტანეს. ჟურნალი ეპ. ევთიმეს წარედგინა დასამტკიცებლად. ეპისკ. ევთიმე შუამდგომლობს სინოდის წინაშე, გამგეობის 3 წევრის აზრი შეწყნარებულ იქმნეს.

*** 30 ივლისს სოფ. ალაგირში, ეპისკოპოსის ნება-დართვით, ჩრთილოეთ-ოსეთის სამღვდელოებას კრება ჰქონდა, და შემდეგი მოთხოვნილებანი შეიმუშავა: 1) მოსპოს ყოველ-გვარი სასყიდელი, რომელსაც ამჟამად მათ ოსები აძლევენ, და დაენიშნოთ მათ მთავრობისაგან ჯამაგირები: ბარში მღვდლებს წელიწადში 1,200 მან., დიაკვნებს—400 მანეთი, მთაში მღვდლებს—1308 მ. და დიაკვნებს—450 მ., 2) ოსეთის საეკლესიო სამრევლო სკოლები სახალხო სკოლებად გადაკეთდეს და სამშობლო ენაზე სწავლა სავალდებულო იყოს; 3) შემოღებულ იქმნას საყოველთაო სწავლა სახელმწიფო ხარჯით; 4) სასულიერო პირთა ტანისამოსი შეცვლილ იქმნას ევროპიულ ტანისამოსზე; 5) ნება მიეცეთ სასულიერო პირთ სამსახურიდან თავისუფლად გადადგნენ და სხვა.

*** „პეტერ. გაზეტა"-ს სიტყვით, საერო განათლების სამინისტრომ უკვე შეადგინა ახალ საუნივერსიტეტო წესდების ძირითადი მუხლები. ყველა უმაღლეს სასწავლებელს ეძლევა სრული ავტონომია სამოსწავლო საქმეშიაც და სამეურნეოშიაც. პროფესორებსა და სხვა მოსამსახურეებს ირჩევენ და ადმინისტრაციაც დამოუკიდებელი იქნება. ახალ წესდებას სამინისტრო სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენს, მაგრამ, რადგან სათათბიროს მოწვევა მეტად დაგვიანდება, სამინისტროს აზრად აქვს წინდაწინვე გამოაცხადოს წესდების შინაარსი და საესებით უარ-ჰყოს 1884 წლის წესდება (რ. ს.).

*** 23 აგვისტოს, ქუთაისის საოლქო სასამართლოს არქივი გაძარცვეს: წაიღეს ორმოცამდე რევოლვერი, ბერდანკები, ხმლები, ხანჯლები. ბოროტმომქმედნი მიიმალნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** ბაქოში მომხდარ სისხლის ღვრის ამბების შესახებ „კავკაზ"-ს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: ბალახანასა და შავ ქალაქს ცეცხლი აქვს მოდებული. პოლიცმეისტერს სამჯერ ესროლეს. თოფის სროლა ღამე ისევ გაძლიერდა.

*** მანთაშევის კანტორამ დეპეშა მიიღო, რომ საბუნჩა, ბალახანასა და რომანაში ყველა „ვიშკები" გადამწვარა.

*** საქართველოს ექსარხოსმა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად უწმ. სინოდში დასამტკიცებლად წარადგინა წევრი ქართლ-კახეთის სინოდალურ კანტორისა არქიმანდრიტი გიორგი (ალადაშვილი).

*** „რუსკი ინვალიდ"-ის უკანასკნელ ნომერთან ერთად დარიგდა მე 59 სია ომში მოკლულ და დაჭრილ სალდათებისა. სხვათა შორის ამ სიაში მოქცეულნი არიან ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის, სენაკისა და რაჭის მაზრის მცხოვრებნი, ბრიანსკის მე-35 ქვეითა პოლკის სალდათები. როგორც სიიდან სჩანს, მომკვდარან შემდეგი სალდათები: დიმიტრი სიმონია, გრიგოლ გალობიანი და პავლე კონჟარია; უკვალოდ დაიკარგა: ბარზალო მიქაია, თევდორე რურუა, ანტონ უბირია, ტიმოთე ქარაბოტია, ზოსიმე ცარელუა, თედო შენგემია, ეგნატე რერემუა, ათანასი ჯიგირნალია, ვასილ ბელკანია და ალექსანდრე პოჩკორია; დაიჭრნენ: კუტარია გარმელია, ონისიმე ბუჩავა, კირილე ცოცარიძე, არსენ პანასკერია, ზარარია ანჩილავა, ჯიბლო სიქონავა, თედო შენგელია, კონსტანტინე კუპრავა, ბესო კუკანია, გრიგოლ კურგარია, ანტონ გარდინია, ევგენი რუსია, იოსებ ცუგოზია, იოსებ უსაბელია, იულონ ნარსია, ესტატე ქანდარია, ლეონტი ტარტალია, გრიგოლ ცურცულია, პავლე გვაბინლავა, ვლადიმერ გუგულია, ანტონ ჩიქოვანი, ანტონ ჟვანია და რაჟდენ ახალაია, როგორც ეტყობა, ბევრის გვარი და სახელი გადარეულია.

*** მთავრობას განზრახვა აქვს, ამიერ-კავკასიაში თვითეულს სოფელს საკუთარი სასოფლო სასამართლო დაუწესოს და საკუთარი მამასახლისი და მოხელეები დაუყენოს. ამჟამად, როგორც ვიცით, რამდენიმესოფლის მართვა-გამგეობა 1 მამასახლისს აბარია.

*** «სინ ოტეჩესტვას» სიტყვით, უმაღლესმა მთავრობამ გადასწყვიტა: მანჯურიაში მყოფი ჯარი ციმბირში დაასახლოს და ცოლ-შვილიც თავის ხარჯით გაუგზავნოს რუსეთიდან (მ. ვ.).

*** სახელმწიფო საბჭოს უკვე განუხილავს და დაუმტკიცებია პროექტი განაპირა ქვეყნების წარმომადგენელთა რაოდენობის შესახებ. როგორც «ნაშა ჟიზნ»-ი გადმოგვცემს, სახელმწიფო სათათბიროსი, ამ პროექტით, კავკასიას ეყოლება სულ 28 წარმომადგენელნი. ამჟამად კავკასიაში ათი მილიონი მცხოვრებია, მაშასადამე, თითო წარმომადგენელი მოდის დაახლოვებით 360,000 კაცზე.

*** 25 აგვისტოს, დილის ესე ორ საათზე, გასტეხეს და გაძარცვეს ტფილისში მამა დავითის ეკკლესია. ბოროტ-მომქმედებს შეურჩევიათ მოხერხებული დრო, გაუტეხიათ კლიტე და შესულან ეკკლესიაში. შიგ ეკკლესიაში 20 სხვა და სხვა ყულაბი გაუტეხიათ და ფულად წაუღიათ 50 მამეთამდე. ამას გარდა წაუღიათ 600—700 მანეთის ნივთები; ბარძიმ-ფეშხუმი, ჯვარი, გვირგვინები, საცეცხლური და სხვა. დილით ეკკლესიაში ყველაფერი არეულ-დარეული უნახავთ.

*** ცნობილი ვოსტორგოვი უმაღლესს სასულიერო მთავრობას, როგორც „კავ." გადმოგვცემს, უკვე დაუნიშნავს ახალ ადგილზე. ვოსტორგოვი სარატოვში გადაუყვანიათ საკათედრო დეკანოზად, ამასთან დაუნიშნიათ იგი ადგილობრივ სასულიერო კონსისტორიის წევრად «დუხ. ვესტ.» რედაქტორად.

*** 26 აგვისტოს, სამრევლო სკოლების საოლქო საბჭოს დარბაზში, ეპისკ. ექვთიმეს თავმჯდომარეობით, მოხდა კრება „საქართველოს სასულიერო მოამბის" მიმართულების შეცვლის შესახებ. კრებას დაესწრნენ სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი გიორგი, დეკ. მ. ტყემალაძე, სემინარიის მასწავლებლები ვ. ვ. ივანოვი, ი. ი. ფერაძე მღვ. კ. ცინცაძე და სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ა. ი. ნატროშვილი. კრებას მოხსენდა განსაკუთრებული აზრი ამაღლების ეკკლესიის მღვდლის ილ. ჯაშისა, რომელიც კრებას არ დასწრო. მ. ჯაშის აზრით, ეს ორგანო უნდა გადაეცეს სამღვდელოებას, რომელიც ინახავს ამ ორგანოს და საქმის მოწყობა ჯერჯერობით ჩაბარდეს იმ კომისიას, რომელიც მოწვეული იყო 22 აგვისტოს ექსარხოსთან და რომელსაც მსჯელობა ჰქონდა სამღვდელოებისა და ეპარქიის საჭიროებაზეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისყიდებიან

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ყვირილაში—«მწყემსი»ს რედაქციის სტამბაში.

1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი ღვთისმსახურების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არს მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანის სრულს თვეთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართველ. წმ-დანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 40 კ. და უყდოთ . . . 30 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ერცელი პანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ,
3. ოცხლთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 20 —
4. კონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 30 კ. კარგი ყდით . . 50 »
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი ხაუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებთ ფ. . . . . 5 »

2, სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც უწმ. სინოდისგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულის სემინარიებისა-სამრეველო და სხვა პირველ დასწყის სკოლებში—ფასი . 30 კ.
2. იკიე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლებ ს ნიშნებით ყდით ფასი . . 55 კ.
3. დაწყებითი გაეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
4. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება--ფასი . . . 40 კ.
5. მღვდელთთვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო ხელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 20 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალი კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საეკლესიო-სამრეველოს ყდით ფასი . . . 1 მ
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—
3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ექიმის საუბარი . . . . . 5 კ.

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . 15
2. ბელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 15 კ.
იგივე რუსულ ენაზე . . . 20 »
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4. ათავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5 კ.
იგივე რუსულ ენაზე . . . . 10 კ.
5. ვარძიის მონასტერი, ფასი . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლ ს დამადება, სურათით . 2 —
2. ტაძრად მიყვანება ღვთის მშობლისა, ფ. . 2 —
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით. . . 2 —
4. შობა უფლისა . . . . . 2 კ.
5. მირძმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2 —
6. ხარება უოველად წმიდა ღვთის-მშობლისა 2 —
7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2 —
8. აღდგომა სურათით—ფასი . . 2 —
9. მიძინება ყოველად წმ. ღვთის-მშობლისა, 2 —
10. ხელთუქნელი ხატის ისტორია . . 3 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

1. წმიდა მოწამე რაჟდენი, სურათით, ფასი . 5 კ.
2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი 2—
3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი . 5—
4. თამარ მეფე, სურათით . , 5—
5. გიორგი მთაწმიდელი . . . 10—
6. ოლნენე ზედაზნელი . . . 5—
7. შუშანიკი . . . . . 3—
8. ქეთევან დედოფალი . . . 2—
9. არჩილ და ლუარსაბი . . . 5—

7. რელიგიური და ზნეობრივი შინარსის წიგნები და საუბრები:

1. წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანეს ოქროპირი, სურათებით—ფასი 5—
2. როგორ უნდა ვმარხულობდეთ —ფასი . 3—
4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკსა, ფასი . . . . 5—
5. სიკვდილი მართლისა, პანტოელი კილატეს მეუღლის წერილი . . . 5—
6 ხმა მაძღრისა ს მწყსოსადმი. საუბარს შესწავლიესო ქრისტესი . . . . 3—
7 შვილების ზოვალეობა მშობელთადმი . 3—
8 მშობლების მოვალეობა შვილთადმი . 3—
9 ვინ არიან ჩვენი ცხოვრების მტერნი და როგორ უნდა ვძლიოთ მათ . . . 3—
10 იუნჯებდთ საუნჯესა ცათაშინა . . 3—
11 საუბარი ღვთის სიტყვაზე . . . 3—
12 — ზრახვაზე . . . 3—
13. სამგვარი სიკვდილი . . . 5»

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. მეფე სოლომონ ბრძენი სურათით—ფ. 5—
2. ესთერი (მოთხრობა დაბადებიდამ) სურ. 5—
3. სიბრძნე ი.ო ძისა ზირაქისა, სურათით. . 5—
4. იოსები . . . . . 5—
5. მრავალ წამებული იობი . . 5 კ.

სატები და მხატვრობანი.

იმექონებიან პატარა იაფფასიანი-ხატები ფიცარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არიმაცხოვრისა, ეფერის ღვთის მშობლისა, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათ თორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდება. ამ სათან იმექონება სქელ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინანი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპიით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელია და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოეული 5 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გაგზავნა არ ეხება.

იმექონება აგრეთვე მრავალი პატარა გულსაკიდ ხატები ფერადფერადი ლითონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესი, ღვთის აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ვინც ასს დაიბარებს ნიდ ფულზე, მას გაგზავნით დაეთმობა. სამ მანეთსეთი იმექონებიან ვერცხლისაც, ფასი 40 კ.

11. მხატვრობანი სას. და საერო მოღვაწეთა.

1. ზოთა რუსთაველი. . . . 25 კ.
2. აკაკი წერეთელი . . . . 25 კ.
3. თაბარ მეფე . . . . 25 კ.

იმექონება აგრეთვე შეფერილ-გასაღებელი წიგნები და ყოველგვარი ძოწმ. ძლანკები და ამ ოერილობანი,

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: უმაღლესი მანიფეტი.—უმაღლესი ბრძანება სომეხთა საქმეების შესახებ.—იმერეთის ეპარ. მამდვდელოების დეპუტატთა მე-45 კრება ქ. ქუთაისში 16—22 მარტს, დემსწრესი.—ზემო სვანეთი, სევ კეკლიძისა.—ძირითადი რეფორმის მოლოდინი.—მზრუნველის კომისიისაგან შედგენილი სახალხო სკოლის პროგრამა —ერობის პროექტის შესამუშავებლად წარიომადგენლების არჩევა.—ალექსი ბერს, (ლექსი) როსტომ—გუძა ჩიქოვანის. —ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе

Дозволено цензурою, Архимандритъ Георгій 1 сентября *1905 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъвъ собст. домѣ.